პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
10
ივნისი
1937 წ.
№ 131 (4932)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

— უფრო გაბედულად წამოვწიოთ ახალგაზრდა, პარტიის ერთგული მუშაკები (მეთაური).
— ამხ. დიმიტროვის დეპეშა რამონ ლემონედას, ხოზე დიასს და ფელიპე პრეტელს.
— ამხ. დიმიტროვის პასუხი დე ბრუკერს.
— პოლარული ოპერაცია დამთავრებულია.
— ე. ბედია — მეგრელ გლეხთა აჯანყება 1857 წელს.
უცხოეთში:
— ესპანეთის ფრონტებზე.
— ანტიიაპონური აჯანყება ჩახარის პროვინციაში.
— დელბოსის საუბარი ინგლისის ელჩ ფიპსთან.

უფრო გაბედულად წამოვწიოთ ახალგაზრდა, პარტიის ერთგული მუშაკები

სოციალისტურ ქვეყანას თავისი არსებობის პირველ წლებში არ ჰქონდა შესაძლებლობა ემზადებინა თავისი კადრები უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. ხელმძღვანელები, ორგანიზატორები, მეთაურები, წინამძღოლები გამოდიოდნენ მასიდან იმ ბრძოლის პროცესში, რომელიც სწარმოებდა რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის სამოქალაქო ომისა და მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე. ახლა ჩვენ გვაქვს სკოლებიცა და უნივერსიტეტებიც! მაგრამ სკოლა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, — ეს მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. „კადრების ნამდვილ გამოწრთობას ვღებულობთ ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლაში, სიძნელეთა დაძლევაში". და ასეთი კადრები, ბრძოლაში გამოწრთობილნი, მთელი თავისი არსებით ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულნი, ყოველდღე და ყოველ საათში იჭედებიან ჩვენთან, ისინი იწევიან მჩქეფარე შემოქმედებითს ცხოვრებას, აგროვებენ უდიდეს გამოცდილებას, ანვითარებენ თავის ნიჭსა და უნარს.

ჩვენი ქვეყანა ახალგაზრდაა, და წინა კადრები მასობრივად ახალგაზრდაა. საჭიროა უფრო გაბედულად მივცეთ გზა ამ კადრებს, რომლებიც ელიან წინ წამოწევას! მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი არ შეიძლება იყოს ჩვენში ძირითადი კრიტერიუმი მუშაკის წამოწევისას. უთუოდ უვარგისია მანკიერი მეთოდები კადრების შერჩევისა შემთხვევითი, სუბიექტური, ობივატელურ-მეშჩანური ნიშნების მიხედვით, როდესაც ზოგიერთი ხელმძღვანელი ახდენს ეგრეთწოდებულ ნაცნობობა. მეგობართა, ერთსოფლელთა შერჩევას, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და საქმიანი ვარგისობისა. ასეთ მეთოდებს გესლიანად დასცინა ამხანაგმა სტალინმა და ისინი მკაცრად დაჰგმო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მუშაკები შერჩეულ უნდა იქნან, „ჯერ ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობის ღირსნი, და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოდგებიან თუ არა ისინი ამათუიმ კონკრეტული სამუშაოსათვის" (სტალინი). ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ავამაღლოთ მეთაურთა კადრების იდეოლოგიური დონე და პოლიტიკური გამობრძმედა.

ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა გვაძლევენ პასუხსაგებ ხელმძღვანელ პოსტებზე ახალგაზრდა მუშაკების, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღზრდილი შვილების გაბედულად წამოწევის მაგალითს.

ამჟამად მიმდინარეობს ჯანსაღი პროცესი ცალკეული საწარმოების გაწმენდისა იქ შემძვრალ ტროცკისტ მუხანიელ-ჯაშუშ ქვეწარმავალთაგან. ჩვენ ვწვავთ ტროცკისტ-ფაშისტ ბანდიტურთა ბუდეებს და ვანადგურებთ მათ. ამავე დროს ენერგიულად უნდა წამოვწიოთ ახალი ადამიანები. „გავანადგუროთ ტროცკისტები და სხვა მავნებლები და წამოვწიოთ ახალი, ნიჭიერი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მუშაკები" — ასეთი ამოცანა დასახა ამხ. მოლოტოვმა მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მაგრამ ბევრ ადგილას, და განსაკუთრებით მრეწველობაში, წამოწევა გაუბედავად სწარმოებს. ბევრს ლაპარაკობენ „ადამიანთა ნაკლებობაზე". არაიშვიათად ჩვენს ქარხნებში, საამქროს უფროსის ან ოსტატის უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე წამოწევისას, ან, პირიქით, მათი უფრო ძლიერი მუშაკებით შეცვლის აუცილებლობისას, იწყება წუწუნი — „ჩვენ ადამიანები არ გვყავსო". მოითხოვენ ადამიანებს სახალხო კომისარიატებისაგან, ეძებენ მათ მეზობელ საწარმოებში და სხვა ქალაქებშიც კი და ამავე დროს მიჩქმალული ჰყავთ ახალგაზრდა ძალები, რომლებიც საწარმოში აღიზარდნენ და მომზადებული არიან წინ წამოსაწევად.

ჩვენი ქვეყნის ისეთ უძველეს ქარხნებშიც კი, როგორიცაა „კრასნი ტრეუგოლნიკი" ლენინგრადში, პეტროვსკის სახ. მეტალურგიული ქარხანა დნეპროპეტროვსკში, მუშაკის ყოველგვარი შეცვლა დიდ შეშფოთებას იწვევს. ასეთი ქარხნები, რომელთაც უდიდესი საწარმოო გამოცდილება აქვთ, უნდა ამზადებდნენ ხელმძღვანელებს არა მარტო თავისთვის, არამედ ახალი ქარხნებისთვისაც, რომლებიც იქმნებიან, ისინი უნდა ამზადებდნენ კადრებს სახელმწიფო აპარატისათვის. აი რას მოგვითხრობს პეტროვსკის სახ. ქარხნის დირექტორი ამხ. ბირმანი:

— ქარხანაში მუშაობს 25 ათასამდე კაცი. ყველაზე უკიდურეს პესიმისტსაც კი არ შეუძლია უარჰყოს, რომ ადამიანთა ასეთი უზარმაზარი რეზერვუარიდან დაუსრულებლად შეიძლება უნარიანი და ნიჭიერი ადამიანების მიღება და პოვნა, რომელთაგან შეიძლება წარმოების უმაღლეს, საშუალო და დაბალ მეთაურთა საუცხოო კადრების აღზრდა. და მიუხედავად ამისა რას ვხედავთ? არა მარტო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა რეკომენდაციას იძლევიან გარედან, როგორც წესი, არამედ თვითეული ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შეცვლის საკითხიც იწვევს ადამიანთა ხანგრძლივ ძებნას ქარხნის გარეთ. ჩვენ ვერ შევძელით სათანადოდ გარკვევა ჩვენს ადამიანებში...

„უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათი ათასობით გვყავს. ოღონდ საჭიროა მათ ვიცნობდეთ და დროზე წამოვწევდეთ, რათა ისინი არ დახავსდნენ ძველ ადგილზე და არ დაიწყონ ლპობა. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ". ასე გვასწავლის ამხანაგი სტალინი!

საკმარისია მაგალითად, ახალგაზრდა ინჟინრებს შორის მოვძებნოთ, და ჩვენ ვიპოვით ასობით საუცხოო, საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ ორგანიზატორებს. ხოლო ჩვენი სტახანოველები! გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა ამასწინათ ცნობილი მემანქანე პეტრე კრივონოსი დანიშნა დონეცის გზის სლავიანსკის საორთქლმავლო დეპოს უფროსად. კრივონოსი ამჟღავნებს თავის ორგანიზატორულ ნიჭს. მოსკოვის ბურთობსაკისართა ქარხანაში უკვე რამდენიმე თვეა სამჭედლო უროთა მალის უფროსად მუშაობს სტახანოველი იუსიმი. ქარხნის მუშაკთა საერთო აღიარებით იუსიმმა თავის-თავი გაამართლა. ლენინგრადის ფეხსაცმელის ფაბრიკა „სკოროხოდში" სახელოსნოს უფროსად წარმატებით მუშაობს სტახანოველი ნიკოლოზ სმეტანინი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან იყო გადამჭიმავად. მაგრამ, სამწუხაროდ, სტახანოველთა წამოწევას ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა. დონბასში, მაგალითად, სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორებად დანიშნეს ალექსი სტახანოვი, მოლოსტოვი და სხვა გამოჩენილი სტახანოველები. მაგრამ, როგორც გამოირკვა დაწინაურებულ ინსტრუქტორთა თათბირზე, რომელიც გაიმართა ამ ცოტახნის წინათ სტალინოში, ისინი დაივიწყეს პარტიის დონეცის საოლქო კომიტეტმაც და „დონბასუგოლმაც". იმავე დონეცის ბასეინში, სადაც ყველაზე მეტად უჩივიან ადამიანთა ნაკლებობას, ახალგაზრდა ინჟინრებს მიზანშეუწონლად იყენებენ, კანცელარიებში ამუშავებენ. ინჟინერი, რომელიც მუდამ ადგენს სტატისტიკურ ნაკრებ ცნობებს ქვანახშირის ამოღების შესახებ, შეიძლება ოდესმე გახდეს სტატისტიკოსად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ინჟინერი აღარ არის. განა ეს შეიძლება დაუშვან ბოლშევიკმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც კადრების აღზრდით არიან დაინტერესებული?

თავის დროზე, შახტის პროცესის შემდეგ, პარტიამ პარტიულ მუშათა მნიშვნელოვანი რაზმი დასვა სკოლის სკამზე. ესენი იყვნენ „პარტთასელები". ტროცკისტი მავნებლები მთელ რიგ ადგილებში, როგორც მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში, არაიშვიათად ავიწროვებდნენ ამ მუშაკებს და გასაქანს არ აძლევდნენ მათ. რატომ არ შეიძლება გაბედულად წამოვწიოთ წარმოების მეთაურთა პოსტებზე პატიოსანი ბოლშევიკ-პარტთასელები — და არა მარტო პარტთასელები — საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების მიერ აღზრდილნი, რომელნიც ეუფლებიან ბოლშევიზმს?!

შარშან ჩვენს ქვეყანაში იყო სამას ათასზე მეტი მოქალაქე, რომელთაც უმაღლესი განათლება მიიღეს, და თითქმის შვიდი მილიონი მოქალაქე, რომელთაც მიიღეს საშუალო და არასრული საშუალო განათლება მხოლოდ ორი სტალინური ხუთწლედის წლებში. წითელმა არმიამ თავის რიგებში სწავლა მიაღებინა ასი ათასობით ახალგაზრდა ადამიანებს. შარშან მარტო მძიმე მრეწველობაში 400 ათასზე მეტმა მუშამ დაამთავრა სტახანოველთა კურსები და სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსები. ახლა მძიმე მრეწველობის მუშათა 2 მესამედიდან 3 მეოთხედამდე ღებულობს ტექნიკურ განათლებას სხვადასხვა სკოლაში. ასი ათასობით მუშაკები შეუპოვრად სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად. როგორღა შეიძლება ადამიანთა ნაკლებობაზე ლაპარაკი?

ადამიანები ჩვენ გვყავს, ოღონდ საჭიროა მათ ვიცნობდეთ. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ!

უფრო გაბედულად და უფრო ენერგიულად წამოსწიეთ ახალგაზრდა, პარტიისა და სტალინური ცენტრალური კომიტეტის ერთგული, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული კადრები!

„პრავდის" მოწინავე 9 ივნისი

დელბოსის საუბარი ინგლისის ელჩ ფიპსთან

პარიზი, 8 ივნისი (საქდესი). გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა მიიღო ინგლისის ელჩი, ფიპსი, რომელსაც გააცნო საფრანგეთის პასუხი წინადადებაზე, აღდგინონ ესპანეთის სანაპიროს საზღვაო კონტროლი და დააბრუნონ გერმანია და იტალია ჩაურევლობის კომიტეტში. საფრანგეთის მთავრობა ეთანხმება ინგლისის წინადადებას და ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ სასურველია ქმედი კონტროლის მაქსიმალური გაფართოვება და გაძლიერება იმ სახელმწიფოთა მეტი რიცხვის ჩაბმით, რომელნიც წარმოდგენილი არიან ლონდონის კომიტეტში. კერძოდ, საფრანგეთის მთავრობა წინადადებას იძლევა დაინიშნონ ხსენებულ სახელმწიფოთა მეთვალყურენი იმ ოთხი სახელმწიფოს გემებზე, რომელნიც ფაქტიურად ახორციელებენ საზღვაო კონტროლს.



ჩრდილოეთ პოლუსის მოდრეიფე სადგურის მოზამთრეები მარცხნიდან მარჯვნივ: სადგურის უფროსი ამხ. ი. დ. პაპანინი, რადისტი ამხ. ე. ტ. კრენკელი, მაგნიტოლოგი და ასტრონომი ამხ. ე. კ. ფედოროვი, ჰიდროლოგი და ჰიდრობიოლოგი ამხ. პ. პ. შირშოვი.

ამხ. დიმიტროვის დეპეშა რამონ ლემონედას, ხოზე დიასსა და ფელიპე პრეტელს

ამხ. დიმიტროვმა ესპანეთის მუშათა სოციალისტური პარტიის მდივანს რამონ ლემონედას, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ხოზე დიასს, ესპანეთის მუშათა საყოველთაო კავშირის გენერალური მდივნის თანამდებობის დროებით აღმსრულებელს ფელიპე პრეტელს ვალენსიაში გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი პასუხი თქვენს წინადადებაზე ესპანელი ხალხის დასაცავად მოქმედებათა საერთაშორისო ერთიანობის დამყარების შესახებ:

„მივიღეთ ასეთივე მიმართვა ვალენსიიდან. სავსებით შეგნებული გვაქვს ენერგიული მოქმედების აუცილებლობა და უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ალსავსენი ვართ ნებისყოფით გავატაროთ იგი. ჩვენი განზრახვები ვაცნობეთ ჩვენს ესპანელ მეგობრებს ჯერ კიდევ თქვენი მომართვის მიღებამდე. ჩვენი ინტერნაციონალი საკუთარი პასუხისმგებლობით სავსებით შეასრულებს თავის მოვალეობას. როგორც იცით, ჩვენი ინტერნაციონალის არც თავმჯდომარეს, არც მდივანს არ აქვთ საჭირო რწმუნებანი მონაწილეობა მიიღონ მისი სახელით კომიტეტში, რომლის შექმნის წინადადებასაც თქვენ იძლევით.

დე ბრუკერი".

ფორმალურ ხასიათის მოტივებზე, სათანადო რწმუნების უქონლობაზე მითითებით მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარემ თავი აარიდა პირდაპირი პასუხის გაცემას ჩვენს წინადადებაზე, რომ შეიქმნეს საკონტაქტო კომიტეტი ესპანელი ხალხის დასაცავად სამივე ინტერნაციონალის ერთად მოქმედების მიზნით. კვლავ დაჟინებით ვაყენებთ კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც მიმართული იქნება მოქმედებათა საერთაშორისო ერთიანობის დამყარებისაკენ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის მხრივ. ამ მიზნით წინადადება წამოვაყენეთ აგრეთვე შეხვდნენ ერთმანეთს კომუნისტური და მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალების წარმომადგენლები.

პასუხის მიღების შემდეგ გაცნობებთ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გენერალური მდივანი:
გ. დიმიტროვი".

ამხ. დიმიტროვის პასუხი დე ბრუკერს

ამხ. დიმიტროვმა სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალის თავმჯდომარეს დე ბრუკერს ბრიუსელში გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მივიღე თქვენი პასუხი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დეპეშაზე, რომელშიაც ჩვენ, ესპანეთის მუშათა ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე, ესპანეთის ხალხის დასაცავად მოქმედების ერთიანობის დამყარების მიზნით, წინადადება მოგეცით შეგვექმნა სამი ინტერნაციონალის საკონტაქტო კომიტეტი. სამწუხაროდ, თქვენი დეპეშა არ გვაძლევს ნათელ პასუხს ჩვენ მიერ შეთავაზებულ კონკრეტულ წინადადებაზე. თქვენი მითითება იმაზე, რომ სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალის არც თავმჯდომარეს, არც მდივანს არა აქვთ რწმუნება საკონტაქტო კომიტეტის შექმნის საკითხის გადასაწყვეტად, არ მიგვაჩნია დამაჯერებლად, თუგინდ იმიტომ, რომ ასეთი რწმუნება თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ თქვენი ინტერნაციონალის სათანადო ინსტანციებისაგან. არ შეიძლება აგრეთვე ფორმალურ რწმუნებათა უქონლობა გადამწყვეტ გარემოებად ჩაითვალოს, როდესაც საქმე ეხება ესპანეთის ხალხის სიცოცხლესა და დამოუკიდებლობას, იმ ხალხისა, რომელსაც თავს ესხმიან გერმანელი და იტალიელი ინტერვენტები. ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ არც თქვენი ის აზრი, თითქოს სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი სავსებით ასრულებდეს თავის ვალს, რადგანაც იგი კვლავ უარს ამბობს საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა ძალის გაერთიანებაზე ესპანეთის ხალხის დაცვის საქმეში. სოლიდარობის მოძრაობა ესპანეთის ხალხის სასარგებლოდ ჯერ კიდევ სრულიადაც საკმარისი არ არის უმთავრესად იმიტომ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედება დაქსაქსულია. ეს მოძრაობა გაათკეცებულ ძალას მიიღებდა, მიუხედავად ყველა სიძნელისა, რომ შეგვძლებოდა მოქმედების საერთაშორისო ერთიანობის დამყარება. სწორედ ამ მიზნით მოგეცით ჩვენ წინადადება შეგვექმნა სამი ინტერნაციონალის საკონტაქტო კომიტეტი.

თუ თქვენ მაინც რატომღაც ჩვენს მიერ შეთავაზებულ კონტაქტის ფორმას თქვენთვის მიუღებლად სთვლით, ესპანეთის ხალხის დახმარების საერთო საქმის ინტერესები მაინც მოითხოვს, რათა თქვენ თქვენის მხრით მოგვცეთ სხვა კონკრეტული წინადადებანი ამავე მიზნის მისაღწევად. ჩვენთვის მთავარია არა ფორმა, არამედ საქმის არსი. კომუნისტური ინტერნაციონალი, აკეთებს რა ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, ფაშისტ მეამბოხეებსა და ინტერვენტებზე ესპანეთის ხალხის სასწრაფოდ გამარჯვების უზრუნველსაყოფად, მზად არის დაუყოვნებლივ,—როგორც ჩვენ უკვე წინათ ვაცხადებდით განიხილოს ყოველი წინადადება თქვენის მხრით. ესპანეთის მუშათა ორგანიზაციებთან ერთად ჩვენ უფლება გვაქვს ველოდოთ თქვენს კონკრეტულ წინადადებებს ამ მნიშვნელოვან საარსებო საკითხზე.

ჩვენ აგრეთვე მიზანშეწონილად ჩავთვლიდით, საერთო ძალღონით მოქმედების განხორციელების დაჩქარების მიზნით, კომუნისტური და სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალების წარმომადგენელთა აზრების წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, ველით ცნობას ასეთი შეხვედრის ადგილისა და დროის შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გენერალური მდივანი გ. დიმიტროვი".

◇

ამხ. მ. ი. ულიანოვას ავადმყოფობა

მოსკოვი, 9 ივნისი (საქდესი). ამხ. მ. ი. ულიანოვა უკანასკნელი მთელი რიგი წლების განმავლობაში დაავადებულია მკვეთრად გამოხატული ჰიპერტონიით (სისხლის გაძლიერებული წნევა). 1931 წლიდან, ფილტვების ანთების შემდეგ, ამხ. მ. ი. ულიანოვას, ამას გარდა, დასჩემდა პნევმოსკლეროზი. მკვეთრად გამოხატული ჰიპერტონიის ფონზე ამხ. მ. ი. ულიანოვას 7 ივნისს 20 საათსა და 30 წუთზე მოუვიდა სისხლის ჩაქცევა ტვინსა და მის გარსში. 8 ივნისს დილის პირველ ნახევარში სისხლის ჩაქცევის მოვლენები არ გაძლიერებულა. ავადმყოფის ტემპერატურა 7 ივნისს საღამოს უდრიდა 37,8, 8 ივნისს—37,9 და 8 ივნისს 16 საათზე—36,7. მაჯა მერყეობს 80—90 ფარგლებში. 7 ივნისს საღამოს და 8 ივნისს მთელი დღის განმავლობაში ამხ. მ. ი. ულიანოვასთან გაიმართა განმეორებითი კონსულტაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები: მ. პ. კონჩალოვსკი, მ. გ. კროლი, მ. ს. მარგულისი, ბ. ს. ვეისბროდი, დოცენტი მ. ი. რაპოპორტი და ექიმები: ლ. ფ. ლიმჩერი, ა. პ. პესკოვა და ლ. მ. ფუქსი.

პოლარული ოპერაცია დამთავრებულია

მოსკოვი, ჩრდილოეთი საზღვაო გზის მთავარი სამმართველო
საქ. დეპ. სააგენტოს, „პრავდას", „იზვესტიას".

რუდოლფის კუნძული, 9 ივნისი, 2 საათი და 10 წუთი (რადიო). 0 საათსა და 45 წუთზე რუდოლფის კუნძულზე დაბრუნდა გოლოვინი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა დავალება ალექსეევის მოსამარაგებლად საწვავი მასალით.

ალექსეევმა გაახურა მოტორები, აფრინდა ყინულიდან და 2 საათსა და 10 წუთზე დაეშვა რუდოლფის კუნძულის აეროდრომზე. ყველა თვითმფრინავი ბაზაშია. პოლარული ოპერაცია დამთავრებულია.

ო. ი. შმიდტი.

მოსკოვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო. იანსონს, ბერგავინოვს.

რუდოლფის კუნძული, 8 ივნისი (რადიო). (საქდესი). ამინდი გაუმჯობესდა. ალექსეევს ვაცნობებთ მუქურას ზონა. 18 საათსა და 35 წუთზე კრუზე აფრინდა თავის ყინულიდან, რომელიც დაიძრა ჩრდილოეთისკენ 85 გრადუსსა და 15 წუთამდე. 19 საათსა და 15 წუთზე თავს გადაუარა ალექსეევს. ამავე დროს მოემზადა გოლოვინი და 19 საათსა და 20 წუთზე გაფრინდა ალექსეევისკენ. გოლოვინისა და კრუზეს თვითმფრინავები ჰაერში შეხვდნენ ერთმანეთს. 20 საათსა და 40 წუთზე კრუზე დაეშვა რუდოლფის კუნძულზე, ხოლო 20 საათსა და 44 წუთზე გოლოვინი— ალექსეევის კუნძულზე. სწარმოებს ბენზინის გადასხმა. ყველაფერი რიგზეა.

შმიდტი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობით)

ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ფ რ ო ნ ტ ი

7 ივნისს ღამით მეამბოხეებმა ძლიერი იერიში მიიტანეს კარაბანჩელის უბანზე და ესტრამადურის რაიონში, მაგრამ ისინი ყველგან მოიგერიეს. იმავე ღამეს მადრიდს განსაკუთრებული გაafთრებით დაუშინეს ყუმბარები. ქალაქს დაახლოვებით ათასი ყუმბარა ესროლეს. პუერტა დელ სოლის ახლოს მთელი რიგი უბნები განადგურებულია თითქმის მთლიანად, ქვაფენილები გადათხრილია. წინასწარი ცნობების თანახმად მოკლულია 120 კაცი და დაჭრილია 200-ზე მეტი. 8 ივნისს ღამით ბომბარდირება განახლდა. ამჯერად მოწინააღმდეგე უმთავრესად განაპირა რაიონებს უშენდა ყუმბარებს. მსხვერპლთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის.

ბ ი ს კ ა ი ს ფ რ ო ნ ტ ი

8 ივნისს მეამბოხეთა არტილერია ესროდა რესპუბლიკელთა პოზიციებს ლემონის (ბილბაოს სამხრეთ - აღმოსავლეთით) რაიონში რესპუბლიკელთა არტილერიამ უპასუხა ზუსტი და ძლიერი სროლით.

მეამბოხეთა და ინტერვენტთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ბილბაოს. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

8 ივნისს, დილის 5 საათზე, მეამბოხეთა ორმა კრეისერმა (როგორც სჩანს „ბალეარესმა" და „კანარიასმა") ხელახლა აუტეხა სროლა პალამოსს (ბარსელონის ჩრდილო-აღმოსავლეთით). გაისროლეს 60 ყუმბარა. ზარალი უმნიშვნელოა. შემდეგ კრეისერებმა ყუმბარები დაუშინეს სოფელ სან პოლ დელ მარს. კრეისერები განდევნეს რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა.

◇ ◇ ◇

ანტიიაპონური აჯანყება ჩახარის პროვინციაში

ბეიპინი, 7 ივნისი. (საქდესი). გაზეთები გადმოგვცემენ ჩახარის პროვინციაში შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნავენ, რომ თავად დევანის (იაპონიის აგენტი) წინააღმდეგ აჯანყებულმა მოსახლეობამ 4 რაიონში შექმნა „თავდაცვის სახალხო არმია". არმიის მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად არჩეულია სარდალი. ჩახარის მთელ ჩრდილო ნაწილში აჯანყებულებმა განაიარაღეს პოლიციის მრავალი რაზმი და ჯარის პატარა ცალკეული ნაწილები.

ჩაპსურში ჩავიდა იაპონიის 7 თვითმფრინავი და 8 ჯავშნიანი ავტომობილი. მანჯოუგოს ჯარები წინ მიიწევენ დოლონორის დასავლეთით.

იაპონიის მრავალრიცხოვანი ჯარი ჩავიდა ჟეხეს პროვინციის დასავლეთ ნაწილში და ემზადება ჩახარში შესვლისათვის გუიუანისა და სხვა პუნქტების მიმართულებით. დევანის ხელისუფლების ქვეშ მყოფ რაიონებში ტერორი მძვინვარებს. „საეჭვოებს" ხვრეტენ.

შეიპინი, 8 ივნისი (საქდესი). გაზეთ „შიცზეჟიბაო" იუწყება, რომ ანტიიაპონურ აჯანყებას ჩახარში ამზადებდა ჩრდილო ჩახარის ყველა მაზრის მოსახლეობა და რომ აჯანყება დანიშნული იყო 1 ივნისისათვის. ჩახარის ხელისუფლებამ, მიიღო რა ცნობები აჯანყების მომზადების შესახებ, 13 მაისს დაიწყო მასობრივი დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა. მაგრამ, ცალკეულ რაიონებში აჯანყებამ მაინც იფეთქა.

◇ ◇ ◇

თბილისის საბჭოს პლენუმი

9 ივნისს შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ ამხ. **ვ. ბაქრაძე, გერ. მგალობლიშვილი, გ. არუთინოვი, გოგეშვილი, ვ. დეკანოზოვი, ს. ხოშტარია.**

პლენუმზე, 1937 წლის თბილისის ბიუჯეტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ნიორაძე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ბ. რაზმაძემ (ტრამვაის დირექტორი), რატიანმა (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), გეგენავამ (ლენ. რაიონი), სოლ. დოლიძემ, ივ. ჩხაიძემ (მე-5 რიგის სანაპირო ქუჩის მშენებლობა), პერჩიანმა (26 კომისრის რაიონი), ჯიმშელეიშვილმა, კეკელიამ (პედაგოგი), ორდენოსანმა მხატვარმა მ. თოიძემ, პ. აფხაძემ, გორელიშვილმა, ფოფხაძემ (ლენ. რაიონი), ბ. თუნთიამ, ჭიჭინაძემ (თბილისის საბჭოს საფინანსო განყოფილება), ბირკაძემ, ცაგარელმა და მაკარაშვილმა (ლენ. რაიონი).

კამათის შემდეგ პლენუმმა მცირეოდენი შესწორებებით დაამტკიცა თბილისის საბჭოს ბიუჯეტი 1937 წლისათვის.

შემდეგ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. პლენუმის დადგენილებით ლიკვიდირებულია თბილისის საბჭოსთან არსებული შემდეგი განყოფილებები — საორგანიზაციო, არქიტექტურულ - საგეგმო და ტექნიკური. საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელობა პლენუმმა დაავალა თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელთანაც შეიქმნება სპეციალური საშტატო ერთეული სამი მუშაკისაგან. თბილისის საბჭოს თავმჯდომარესთან ეწყობა აგრეთვე კადრების სექტორი.

ნაცვლად ლიკვიდირებული განყოფილებებისა, შექმნილია კომუნალური მეურნეობის განყოფილება, რომელიც უხელმძღვანელებს ქალაქის კომუნალური მეურნეობის მუშაობას.

პლენუმმა გაანთავისუფლა თბილისის საბჭოს მდივნის თანამდებობისაგან, ამხ. გ. გორდეზიანი, რომელიც გადაყვანილია ახალ სამუშაოზე. საბჭოს მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. იონა ჩახაია.

კომუნალური განყოფილების გამგედ პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. თუნთია, ხოლო თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ ამხ. გიორგი ცაგარელი.

მადლობა რადიოკონცერტისათვის

„სსსრ ნ-172"-ის ეკიპაჟის რადიოგრამა

მოსკოვი, 9 ივნისი. (საქდესი). 8 ივნისს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მიღებულია რადიოგრამა თვითმფრინავ „სსსრ ნ-172" ეკიპაჟისაგან, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში მოდრეიფე ყინულზე.

ამ რადიოგრამაში ნათქვამია:

„თვითმფრინავ „სსსრ ნ-172"-ის მთელი ეკიპაჟი განუწყვეტლივ ისმენდა ამხ. ბერგავინოვის გამოსვლას და რადიოკონცერტს. მხურვალე მადლობას გწირავთ მისალმებებისათვის, ბედნიერი ვართ, რომ შევძელით იმ ნდობის გამართლება, რომელიც ჩვენდამი გამოიჩინეთ. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი მადლობა რადიოცენტრს და მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის არტისტთა კოლექტივს.

ალექსეევი, შეველიოვი, მოშკოვსკი, ჟუკოვი, სუგროზოვი, შმანდინი, ზინკინი".

იტალიის ჯარის გაგზავნა გენერალ ფრანკოს არმიაში

პარიზი, 8 ივნისი (საქდესი). „ლუმანიტეს" მოჰყავს ახალი ცნობები იმის შესახებ, რომ გრძელდება იტალიის ჯარის გაგზავნა ესპანელ მეამბოხეთა არმიისათვის. ასე მაგალითად, ფლორენციაში, ვაგზალზე, ამჟამად დაინახავთ ჯარის ტრანსპორტებს, რომლებიც იგზავნებიან ლივორნოში, საიდანაც ისინი ესპანეთისაკენ მიემართებიან. სპეციიდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ქალაქის სადგურზე ბევრი ვაგონია იარაღითა და საომარი მასალით. სწარმოებს სამხედრო საჭურველის გადმოტვირთვა ესპანეთს გასაგზავნად.

◇

იტალიის „შესწორებანი" ინგლისის ნოტისათვის კონტროლის შესახებ

რომი, 8 ივნისი (საქდესი). დღემდე არ გამოქვეყნებულა ტექსტი იტალიის პასუხისა ინგლისის ნოტაზე კონტროლის შესახებ. იტალიის წრეებში მას აფასებენ, როგორც „პრინციპულ მიღებას ზოგიერთი შესწორებით". ძირითადი „შესწორება" იმაში გამოიხატება, რომ იტალია, ისე როგორც გერმანია, მოითხოვს „უფლებას დაუყოვნებლივ და სხვა სახელმწიფოებთან თათბირის დამოუკიდებლად მიიღოს ზომები თავდასხმის შემთხვევაში".

იტალიის პრესა წინააღმდეგია აგრეთვე იმის, რომ მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს საერთო რაზმები, რომლებიც ერთად განახორციელებდნენ კონტროლს. არსებული დაყოფა ზონების მიხედვით, აცხადებს, „ლავორო ფაშისტა", „უფრო შეეფერება ამოცანას".

სამეგრელოს გლეხთა აჯანყების 80 წლისთავი



უტუ მიქავა—სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაური (1857 წ.)

ნახატი ნ. მარაშისა

დოკუმენტები

სამეგრელოს მმართველის თავ. ე. დადიანის წერილი

(მიწერილია 1857 წლის 16 მაისის თარიღით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ გენ.-მაიორ ნ. პ. კოლუბიაკინისადმი სამეგრელოში გლეხობის აჯანყების ჩასაქრობად სამხედრო ძალების გაგზავნის თხოვნით).

სამეგრელოს სამთავროს უბრალო ხალხში არეულობა დაიწყო. ბრბო სათანადოდ აღარ ემორჩილება თავის მემამულეებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას და სდებს საერთო ფიცს: „ერთმანეთის ერთგული იყონ და ყველა გარემოებაში დაიცვან ერთობა“. არ ამჟღავნებენ რა ასეთი არეულობის ამაზე მეტ არავითარ სხვა მიზანს, ისინი ყოველდღე ცდილობენ საბოლოოდ შეაერთონ ფიცით სამეგრელოს ყველა გლეხები და უკვე შემდეგ შეუდგნენ იმ საგნის განხორციელებას, რომელიც მხოლოდ მათ იციან. კეთილგონიერი დარიგების, სათნოიანი და მკაცრი დარწმუნების ზომები ჯერჯერობით ამაო რჩება, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მე თვითონ ვიმყოფები და ვღებულობ ყველა ზომებს, ავაშორო მათ ასეთი შეცდომის დამღუპველი შედეგები, მაგრამ თუ ამის შემდეგაც ბრბო იმავე ურჩობას გამოიჩენს, მისი ალაგმვა, ჩემი აზრით, საჭირო იქნება შიშით და უმჯობესია იარაღის ძალით.

მათ რომ შიში ჩავუნერგო, უნდა მყავდეს დონის ყაზახები, რომლებიც აქ ჩემი მითითებებით იმოქმედებდნენ.

ვინაიდან ბ. ქუთაისის გენ.-გუბერნატორი ამჟამად ჩვენგან შორს არის, მოგმართავთ თქვენ უმორჩილესი თხოვნით, როგორც კი მიიღებთ ამ წერილს, გამოგზავნოთ დაბა სენაკში სამასი, ან რამდენიც გეყოლებათ, ყაზახი, განმკარგულებელ ოფიცერთან ერთად, რომელსაც უბრძანებთ ზუსტად შეასრულოს საკუთრივ ჩემ მიერ მიცემული ბრძანებანი. უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, იარაღიც ხმარებულ უნდა იქნას მხოლოდ ჩემი ნებართვით.

ვაცნობებ რა ყოველივე ამას ქუთაისის გენ. - გუბერნატორსაც, გთხოვთ, თქვ. აღმატ., ამასთან დართული პაკეტი № 3111 გაუგზავნოთ მის ბრწყინვალებას საგანგებო კაცის ხელით.

(აქტები, ტ. XII, გვ. 252-253).

გენერალ-მაიორ ნ. მ. კოლუბიაკინის პატაკიდან

(გაგზავნილია 1857 წ. 18 მაისს ქუთაისის გენ.-გუბ. თავ. გაგარინისადმი გლეხთა აჯანყების შესახებ სამეგრელოში)

„... ამ წლის 16 რიცხვში ღამით ჩემთან მოვიდა საგანგებოდ გამოგზავნილი კაცი სამეგრელოდან მმართველის სრულიად კერძო წერილით. მისი ბრწყინვალება მიწვევდა თავისთან, მეგობრობის გულისათვის, რჩევის მისაცემად და დახმარების აღმოსაჩენად. შეიძლებოდა დამესკვნა, რომ აღშფოთებამ მიიღო ისეთი ზომები, რომელიც აღემატებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ზნეობრივსა და მატერიალურ ძალებს.

... აჯანყების მოქმედებაში ორგანიზაციას, დისციპლინას და თანმიმდევრობას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ თუ მან, ასე ვთქვათ, გარეთ გადმოხეთქა, შესაძლოა, შემთხვევისა ან წუთიერი გაღიზიანების გამო, იგი უკვე დიდიხანია ჩასახული და დიდხანს მწიფდებოდა ვიღაცის გონებაში.

მას ჰყავს მთავარი უფროსი, რომელსაც კეისარს უწოდებენ. იგი დაყოფილია რაზმებად, ასეულებად და სხვ. მას ჰყავს თავისი დროებითი მმართველობა, რომელიც აღშფოთებულ სოფლებში თავის რწმუნებულ მამასახლისებს სტოვებს. დასასრულ, მისი მიზანი იციან მხოლოდ წინამძღოლებმა ან განდობილებმა, მაგრამ ხალხისათვის ლოზუნგებივით გადასროლილი ზოგიერთი იდეები და სიტყვები აძლევენ მას ისეთ ხასიათს, რომლის დასასახელებლად საჭიროა მივმართოთ დასავლეთის რევოლუციურ ნომენკლატურას, მაგალითად: „თავადთა და აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ყველა ადამიანები ძმები არიან“, „ფუფუნება ცოდვაა, და ამიტომ აკრძალულია ფაბრიკის მაუდისაგან შეკერილი ან ბუზმენტებით მორთული ჩოხების ტარება“, „სავაჭრო მოგება უნდა შეიზღუდოს, ზომიერი გახდეს, და ამიტომ წესდება ნიხრი არა მარტო ყველა ბუნებრივ ნაწარმოებზე, არამედ საერთოდ ყველა საქონელზეც“...

... გადავედივარ აჯანყების მოქმედებებზე. იგი დაიწყო ზემო სამეგრელოში, მდ. ხობის მარცხენა ნაპირზე. დაახლოვებით 4.000 გლეხისაგან შემდგარი ბრბო, რომლებიც მეტწილად კეტებით, შუბებით და წალდებით იყვნენ შეიარაღებულნი, გადავიდა მარჯვენა ნაპირზე და ააჯანყა მთელი მოსახლეობა მდ. ხობსა და ენგურს შუა...

... საუბარში, რომელმაც ერთ საათს გასტანა, უდიდესი მორჩილების მდგომარეობაში, გულისამაჩუყებელ ენერგიული სიტყვებით აჯანყების წარმომადგენლებმა დამიხატეს აქაურ ყმა-გლეხთა ტანჯვა: გადასახადები უზომოა, ოჯახები ქუცმაცდება, საკუთრება დამოკიდებულია თვითნებობაზე, საჩივრები მომჩივანთათვის მხოლოდ ახალი შეურაცყოფისა და ზარალის საბაბი ხდება. ერთი სიტყვით, გლეხები სამეგრელოში ადამიანები არ არიან. ისინი დიდხანს ელოდნენ თავისი ბედის შეცვლას, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ მოთმინებით და ოხვრა-კვნესით ვერ მიიპყრობენ მოწყალე და სამართლიან ყურადღებას, მათ გადასწყვიტეს, რომ უმჯობესია გასწყდნენ, ვიდრე განაგრძონ ტანჯული სიცოცხლე...

(აქტები, ტ. XII, გვ. 253).

მოგონებანი[*]

გურჯური ქვანია

(აჯანყების უშუალო მონაწილე)

...უტუს აჯანყების მიზეზი შემდეგი გარემოება გახდა: სალხინოში შენდებოდა სასახლე, რომელზეც მუშაობდნენ თურქი დურგლები, ხოლო დამხმარე მუშებად ჩვენ ვიყავით. კვირაში ორ დღეს ვმუშაობდით ეკატერინეს ხარჯით, მაგრამ მან გვაიძულა ჩვენი ხარჯით გვემუშავნა. სამუშაო მძიმე იყო, ჩემი ბიძაშვილი ბეკუია ქვანია ჩამოვარდა მეორე სართულიდან, როდესაც მაღლა აჰქონდათ კოჭი, და გაიტეხა თავი, რის შემდეგაც დაყრუვდა. ერთხელ, როდესაც მაღლა აჰქონდათ კოჭი, თოკი გაწყდა და კოჭმა 29 კაცი დაიტანა. ეს სასახლე შენდებოდა მზის დაბნელების დროსაც (1851 წელი) და უტუს აჯანყების დროსაც. აშენებდნენ, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ მოთავებული არ იყო. ადამიანს აბამდნენ უღელში და იგი „ჯოლას“ სახლამდე მიათრევდა. ასეთი უღელი იყო 20-მდე ცალი, ე. ი. 60 კაცისათვის. ვინც მუშაობაზე უარს იტყოდა, როზგებით სცემდნენ. მოურავები დაიარებოდნენ სოფლებში და სასახლის საჭიროებისათვის აგროვებდნენ ქათამს, კვერცხს, ძროხას, თხასა და ცხვარს. განსაზღვრული გაწერა არ იყო, მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებოდათ. ღარიბ ოჯახებზე ირიცხებოდა გაუსტუმრებელი გადასახადი, რაოდენობა კი გარკვეული არ იყო, პირდაპირ ისე მიჰქონდათ ოჯახებიდან.

ყმები ვალდებულნი იყვნენ ემლიათ 7 ქილა ღომი, 15 კოჩა ჩალა, 5 ფუთი ღვინო. ასე ვიხდიდით ჩვენ, საეკლესიო ყმა-გლეხები, რომლებიც დადიანთან ვიყავით.

ამ სასახლის მშენებლობის დროს მოკვდა დადიანი და დედოფალი გახდა ეკატერინე. გორიდან მან მოიყვანა ანჯაფარიძე და მოურავად დააყენა. ანჯაფარიძემ დაარბია ყმა გლეხები, ართმევდა ყველაფერს და სასახლეში მიჰქონდა.

მანამდე ჩვენ ვმუშაობდით კვირაში ორ დღეს, მან კი შემოიღო კვირაში სამი დღე და ისიც ჩვენი ხარჯით.

ჯოჯო მიქავა

უტუმ შეჰკრიბა ხალხი და ასე მიმართა:

— „ხომ ხედავთ, რომ ჩვენი ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მიწა არა გვაქვს, ვმუშაობთ სხვისთვის, თვითონ კი ვშიმშილობთ. ადამიანად არა გვთვლიან: გვცემენ როზგებით, ბორკილებს გვიყრიან, გვყიდიან, გვართმევენ ყველაფერს. გვცვლიან ძაღლებზე — აი რას გვიშვრებიან. გამომყევით, ძმებო, და ძალით მოვსპოთ ეს ქოფაკები.

იმ დროს სოფელ ლიასა და ჯვარში დიდი ამბები ხდებოდა. გლეხებს ჰყრიდნენ ადგილებიდან და სამაგიეროდ მიწას არ აძლევდნენ. მთავარს თავისუფალი ტერიტორია სჭირდებოდა ხეხილის ბაღის გასაშენებლად, ხოლო ჯვარში ის აპირებდა საფუტკრის მოწყობას. ამ გარემოებამ მეტისმეტად აალელვა გლეხები, რომლებიც სრულიად უთავშესაფაროდ დარჩნენ. სოფ. ჯვარის მცხოვრებმა უტუ ჭანტურიამ მიმართა უტუ მიქავას. მიქავამ მაშინვე უპასუხა: „არა, სხვა საშუალება არ არის, ისე ჩვენთვის შეუძლებელია ცხოვრება, თუ ეს ქოფაკები ძალით არ მოვსპეთ“. მაშინვე წავიდა ჭანტურიასთან, ოჯახში დაუბარა — მამა მყავს ავად, იმის სანახავად მივდივარ და იქ 4 დღეს დავრჩებიო. მართლაც, მან შეიარა მამასთან ფუქში, გამოეთხოვა და უთხრა: „ისეთ ადგილას მივდივარ, რომ შეიძლება ერთმანეთი ველარა ვნახოთო“.

მამას არ უკითხავს — სად მიდიოდა, რადგან იცოდა, რომ უტუ არ წავიდოდა საქურდლად, არამედ წავიდოდა თავადებთან საბრძოლველად. მიქავა ჯვარში რომ ჩავიდა, იქ ხალხმა მოიყარა თავი. უტუ ელაპარაკა ხალხს შექმნილი მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ აუცილებელია თავადების თავიდან მოცილება ძალით, ბრიგადირად დანიშნა უტუ ჭანტურია და დაავალა მეორე დღისთვის შეეგროვებინა თოფებიანად ყველა მამაკაცი, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. მეორე დღეს ლიისა და ჯვარის მცხოვრებთაგან შესდგა ჯარი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა უტუ. მან თავადებისაგან გასწმინდა ჯვარი და ლია (ჯვარი დადიანებისაგან, ლია — აფაქიძეებისაგან). ყველა ყმა გლეხი მან გაისტუმრა თავთავის სახლებში, წინადადება მისცა არ დაბრუნებულიყვნენ თავადების ოჯახებში და საკუთარ სახლებში ემუშავნათ. იქიდან ის საჩინოში წავიდა. აქ შეჰკრიბა ხალხი და მოითხოვა ბრიგადირი. სურვილი გამოსთქვა ხუფენია კვირკიამ. საჩინოდან ის წავიდა წალენჯიხაში და ბრიგადირებად დანიშნა ლევან და ბათაია კვარაცხელიები. დიმიტრი და პლატონ დადიანების სახლებიდან გარეკა ყმები და წინადადება მისცა აღარ დაბრუნებულიყვნენ სასახლეში (ყმები იყვნენ: მიქაია, ეფსია, ჩიქობავა, სახოკია და ქაფჯია). დადიანები მიიმალ-მოიმალნენ.

კოხტა კვარაცხელია

...უტუმ ჯარი პირველად წალენჯიხაში შეჰკრიბა, მაგრამ, როდესაც ამის შესახებ სხვა სოფლების გლეხებმაც გაიგეს, ისინი მაშინვე მიემხრნენ მიქავას. მისი მუდმივი ჯარი შესდგებოდა 400—500 კაცისაგან, ხოლო ერთად 10 ათასამდე აღწევდა. თავისი ჯარი მან დააფიცა, რომ არ უღალატებენ ერთმანეთს და ბოლომდე იბრძოლებენ ბატონყმობის წინააღმდეგ. უტუ თავისი ჯარით შედიოდა დადიანის სასახლეებში და აგროვებდა ყმებს.

თუ მემამულე წინააღმდეგობას გაუწევდა, უტუ მას საბოლოოდ ანადგურებდა.

მაგალითად, კირცხის თემში უტუ მიქავა თავისი ჯარით შევიდა თავად ტუგუ ჯიჯიხიას სახლში, როდესაც მიქავამ შეჰკრიბა ყმები და თავიანთ სახლებში გაისტუმრა ჯიჯიხიამ წინააღმდეგობა გაუწია. უტუმ უბრძანა ჯარს გაენადგურებინათ ყველაფერი, დაეკლათ ხარები და ჯარისათვის სადილი მოემზადებინათ. ყველაფერი ეს შეასრულეს. ერთერთმა მეომარმა სამზარეულოს სხვენში იპოვნა ლობიოთი სავსე ყუთები. უტუმ ლობიო ყმებს დაურიგა და სახლებში გაატანა.

თავადებმა და განსაკუთრებით დედოფალმა ეკატერინემ აჯანყების ჩასაქრობად ქუთაისიდან მოიწვიეს ვიცე-გუბერნატორი კოლუბიაკინი თავისი ჯარით.

წალენჯიხაში ჩამოვიდნენ ვიცე-გუბერნატორი კოლუბიაკინი და რაფიელ ერისთავი. მოიწვიეს კრება. ეკლესიისაკენ მიმავალ სამივე გზაზე იდგნენ რუსი ჯარისკაცები, რომლებიც არავის არ უშვებდნენ არც აქეთ და არც იქით. ჯარისკაცების ნაწილი ხალხისათვის როზგებს ამზადებდა. გაიხსნა კრება, ილაპარაკა კოლუბიაკინმა, ხოლო რაფიელ ერისთავი ქართულად თარგმნიდა.

უტუმ გადასახლებაში დაჰყო 9 წელიწადი. მისი დაბრუნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შემოღებულ იქნა მამასახლისის თანამდებობა და ხალხმა წალენჯიხაში პირველ მამასახლისად აირჩია უტუ, ხოლო კანდიდატად ვატაია კვარაცხელია. კანცელარია უნდა აეშენებინათ იქ, სადაც ახლა ცაცხვი დგას, მაგრამ, რადგანაც საშენი მასალა არ იყო, უტუმ შეჰკრიბა ხალხი და განუცხადა, რომ დიმიტრი დადიანს ნაკიპუში აქვს დახერხილი მასალა, რომ ეს მასალა ყველა გლეხების შრომის შედეგია და წინადადება მისცა წასულიყვნენ და მოეტანათ. იმ შემთხვევაში, თუ გლეხები ამაზე არ დათანხმდებოდნენ, უტუმ უჩვენა დიმიტრი დადიანის დიდი სასახლე და უთხრა: „რათ უნდა ასეთი უზარმაზარი სახლი ერთ ან ორ კაცს, რომლებიც მუდამ ლოგინში წვანან? - გავათავისუფლოთ ერთი ან ორი ოთახი და იქ მოვაწყოთ კანცელარია“.

ხალხმა აირჩია პირველი და მეორე დღეს ნაკიპუში წავიდნენ. წავიდა 400—500 კაცი, რომლებმაც ფიცრები თავისი მხრებით მოიტანეს (ურმები მაშინ არ იყო). დიმიტრი დადიანმა ეს რომ გაიგო, მაშინვე თავისი ამალით ცაცხვისაკენ გაემართა, იქ მას დახვდა უტუ მიქავა და შეკრებილი გლეხები. დადიანი ჯავრისაგან გაცოფებული იყო. მივიდა თუ არა, დაიყვირა: თქვე ძაღლებო, ვისი განკარგულებით წაიღეთ ჩემი მასალაო.

„მიქავას განკარგულებითო“, უპასუხა ხალხმა. დადიანმა იშიშვლა ხმალი და გაიწია მიქავასაკენ, მაგრამ მან იძრო დამბაჩა და უთხრა: „რა გაღრიალებს, აქ ძროხა არ დაუკლავთ. მიწაც და ადამიანებიც ღვთის შექმნილია, თავისი შრომით დამზადებული მასალა ხალხმა აქ საკუთარი შრომით მოიტანა, რომ საზოგადოებრივი შენობა აგოს, შენ კი რა გინდა! ფეხი არ გადმოდგა, თორემ ახლავე გაგათავებ“.

დიმიტრის მამამ დაუჩოქა შვილს და სთხოვა გაჩერებულიყო. მას მახლობლებიც დაეხმარნენ და დიმიტრი სასახლეში წაიყვანეს. რომ გაეშვათ, მიქავა მას აუცილებლად მოჰკლავდა.

—თქვენ თვითონ არ ვარგიხართ, ეუბნებოდა უტუ გლეხებს, — თორემ როგორ შეიძლება, რომ ადამიანი ადამიანს ეკუთვნოდეს. მიწა ხალხს ეკუთვნის, ნუღარ მისცემთ მემამულეებს ღალას, ნუღარ მიართმევთ ძღვენს.

---

[*] სამეგრელოში 1857 წლის აჯანყების შესახებ ხალხში ბევრი მოგონება და გადმოცემა დარჩა, გამოითქვა ლექსები. სამეგრელოში ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ზოგიერთები, რომლებიც ამ მოძრაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ. მოგვყავს ზოგიერთის ნაამბობი, ჩაწერილი ზუგდიდში სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მიერ. უშუალო მონაწილეთა ნაამბობიდან მოგვყავს გლეხის გურჯური ქვანიას (დაიბადა 1844 წ.) ნაამბობი. ქ. კვარაცხელიას, დ. მიქავას და სხვ. დანარჩენი მოგონებანი მათ გაუგონიათ მოძრაობის აქტიურ მონაწილეთაგან. როგორც მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, ამ მოგონებებში საკმაოდ სწორად არის მოცემული აჯანყების ცალკე მომენტები.



ყმა-გლეხის დასჯა სამეგრელოში.

ნახ. მარაშისა

ე. ბედია

მეგრელ გლეხთა აჯანყება 1857 წელს

საქართველოში მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა და ბატონობდა ფეოდალურ - ბატონყმური წყობილება.

ფეოდალ-მებატონეთა განუსაზღვრელი ბატონობა მატერიალური და სულიერი არსებობას მონურ პირობებში ამყოფებდა გლეხთა მასებს.

ქართველი მეფეები, თავადები, აზნაურები და სამღვდელოება ეწეოდნენ გლეხების ველურ ექსპლოატაციას, განაგებდნენ ყმების არა მარტო ქონებას, არამედ მათ სიცოცხლესაც.

მეფე ვახტანგ მეექვსის კანონები, რომლებიც 1705—1707 წლებშია გამოცემული, ასე განსაზღვრავდნენ ფეოდალთა უფლებებს ყმა-გლეხებზე:

„გლეხი, როგორც თვითონ, ისე ყოველივე ის რაც, მას გააჩნია, მის ბატონს ეკუთვნის...

მემამულეს უფლება აქვს გაჰყიდოს და ყოველნაირი წესით განასხვისოს თავისი გლეხი“.

(„აქტები“, ტ. XII, საქმე № 132).

ცნობილი მოგზაური შარდენი, აღწერს რა, მაგალითად, XVII საუკუნის სამეგრელოს, სწერს:

„მემამულეებს აქ უფლება აქვთ თავისი გლეხების სიცოცხლესა და ქონებაზე, მათ მიჰყავთ ქალები, ბავშვები, ჰყიდიან მათ თურქეთში, ისე ექცევიან მათ, როგორც მოეპრიანებათ“.

სასტიკ სოციალურ ჩაგვრას ქართველი გლეხობა უპასუხებდა სტიქიური აჯანყებებით ფეოდალ-მებატონეთა წინააღმდეგ.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველო ხელში ჩაიგდო რუსეთის ცარიზმმა, რომელმაც მძიმე კოლონიური უღელი დაადგა მას.

დაპყრობილი ქვეყანა ჯარებითა და ჩინოვნიკებით აივსო.

საქართველოს გლეხობა მოექცა ორმაგ უღელ ქვეშ—რუსი ჩინოვნიკებისა და თავისი, ქართველი მემამულე თავადების უღელ ქვეშ. ორივე ეს ძალა სწრაფად გაერთიანდა. ინარჩუნებდა რა თავის ხარისხებსა და მამულებს, ქართველი თავადაზნაურობა სამსახურში ჩაუდგა რუსეთის ცარიზმს, რათა დაეცვა თავი გლეხობის რევოლუციური შეტევისაგან.

გლეხობა განიცდიდა კოლონიური ჩაგვრის ყველა საშინელებას მეფის სატრაპებისა და ვაჭრების მხრით და საკუთარ მემამულე-მებატონეთა გაუგონარ თვითნებობას.

O

სამეგრელომ 1803 წელს აღიარა ვასალური დამოკიდებულება რუსეთის მეფისაგან. სამეგრელოს სამთავრო ერთგვარ ავტონომიას ინარჩუნებდა შინაგან მმართველობაში 1857 წლამდე.

ეს ანგარების მოსაზრებით ხდებოდა:

„სტოვებს რა მეფეებს, — სწერდა მეფის კოლონიზატორი ციციანოვი, — მათი მოჩვენებითი მეფობისას, რუსეთის სრულ ქვეშევრდომობაში, მისთვის სარგებლობის მიმცემ პირობებში, იმპერია თავიდან იცილებს ხარჯებს, რომლებსაც მოითხოვს რუსეთის მმართველობის შემოღება“.

(დუბროვინი. ამიერ-კავკასია 1803-დან 1806 წლ. გვ. 24-5).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთთან და მეფის ჯარების მიერ ოკუპირებულ საქართველოს ოლქებთან ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, სამეგრელოს თავადაზნაურობამ დაიწყო ყმა გლეხობის ბეგარებისა და ხარკების გაძლიერება. გლეხობის მძარცველთა და გამპარტახებელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1860 წ. კამერალური აღწერით სამეგრელოში მოსახლეობის რაოდენობა განისაზღვრებოდა ორივე სქესის 127.395 სულით, აქედან ექსპლოატატორთა კლასს ეკუთვნოდა 14.285 სული, ყმა გლეხობის რიცხვი კი 113.280 სულს შეადგენდა. ბეგარები და გადასახადები გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იმდენად გაიზარდა, რომ გლეხობის მნიშვნელოვანი მასა იძულებული იყო მიეტოვებინა სანადელო მიწა და გაქცეულიყო საქართველოს სხვა რაიონებში.

გლეხობის ეკონომიურ ექსპლოატაციას ემატებოდა სამეგრელოს მთავარ დადიანისა და თავადაზნაურობის თვითნებობა. ადმინისტრატიულმა თვითნებობამ, პირდაპირმა ძარცვამ და გაპარტახებამ აუტანელ პირობებში ჩააყენა გლეხობა.

„აქ ერთი და იგივე გლეხი, — სწერდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი, — გადასახადს აძლევს თავის მემამულეს, თავის თავადს და მფლობელ გვარეულობას, რომელნიც თავის მხრით მისთვის არაფერს არ აკეთებენ: ყველას უფლება აქვს მასზე, მას კი არავითარი უფლება არა აქვს არავის წინააღმდეგ... ყოველი სარჩელის ან საჩივრის დროს თვითეულმა მოდავე მხარემ წინასწარ უნდა გადაიხადოს საქვეო მართლმსაჯულებისათვის ოც-ოცი პროცენტი, სულ ორმოცი, დივანბეგთა და სამეგრელოს მართლმსაჯულებისა და პოლიციის სხვა მსახურთა შესანახად, ყოველი პოლიციური ავსაქციელის ან დანაშაულისათვის უნდა შეიტანოს თვითნებურად დადებული ჯარიმა, რომელიც ხმარდება მფლობელის შემოსავლის გადიდებას, მას კი რყვნის, ვინაიდან არწმუნებს, რომ ყველაფერი და ყოველთვის შეიძლება ანაზღაურდეს, და თუ იგი მდიდარია, მისთვის ყველაფერი ნებადართულია“.

(„აქტები“, ტომი XII, გვ. 263)

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 1854 წელს, ყირიმის ომის დროს, სამეგრელო საომარი მოქმედების ასპარეზი გახდა. თურქეთის არმიამ ომერ-ფაშის მეთაურობით სავსებით გააპარტახა ეს მხარე. ყველაფერს, რის გატაცება და წაღებაც მტერს არ შეეძლო, სწვავდნენ და სპობდნენ.

მეგრელ გლეხობას XIX საუკუნის პირველ ნახევარში არაერთხელ გაულაშქრნია თავისი მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

O

ყველაზედ დიდ აჯანყებას სამეგრელოში ადგილი ჰქონდა 1857 წელს. გლეხთა აჯანყება დაიწყო მაისის პირველ რიცხვებში სოფ. ხობში, ჯვარში, ლიაში, წალენჯიხასა და სალხინოში და მალე მოედო მთელი სამეგრელოს ყმა მოსახლეობას. თავისი შვილის ნიკოლოზის მცირეწლოვანების გამო, ამ დროს სამეგრელოს მართავდა ეკატერინე დადიანი, რომელიც 1856 წელს მიწვეულ იქნა მოსკოვში გვირგვინის კურთხევის ზეიმზე. მისი სამეგრელოში არყოფნისას ამ მხარეს თავადი გ. დადიანი მართავდა.

აჯანყების ხელმძღვანელი იყო მჭედელი უტუ მიქავა. აჯანყება უტუ მიქავას ხელმძღვანელობით დაიწყო სოფ. ლიაში, ჯვარსა და წალენჯიხაში და მოედო მთელ რაიონს მდ. ხობსა და ენგურს შორის. გამოსვლის უშუალო საბაბი გახდა ყმა გლეხების მასობრივი გამოსახლება სოფ. ლიიდან და ჯვარიდან გ. დადიანის განკარგულებით.

გლეხებს იქიდან ასახლებდნენ, ხოლო სამაგიერო მიწებს არ აძლევდნენ. გ. დადიანს თავისუფალი ტერიტორია ხეხილის ბაღის გასაშენებლად უნდოდა, ჯვარში კი საფუტკრის მოწყობას აპირებდა. ამ გარემოებამ მეტისმეტად აალელვა გლეხები, რომელნიც სავსებით უთავშესაფროდ დარჩნენ.

წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში უტუ მიქავამ შეაგროვა 10 ათასამდე ყმა გლეხი, თოფებით, ნაჯახებით, ხანჯლებითა და კეტებით შეიარაღებულნი. აჯანყებულნი ერთგულების ფიცსა სდებდნენ, ფიცქვეშ ჰპირდებოდნენ ერთმანეთს არ ეღალატნათ საერთო საქმისათვის და ბოლომდე ებრძოლნათ მისთვის.

გლეხების გამოსვლა სოფელ სალხინოში უტუ თოდუას ხელმძღვანელობით დაიწყო. გამოსვლის საბაბი გახდა შემდეგი გარემოება.

სოფელ სალხინოში სამეგრელოს მმართველი ექ. დადიანი საზაფხულო სასახლეს იშენებდა. მშენებლობა 1851 წელს დაიწყო და უახლოესი სოფლების ყმა გლეხები უსასყიდლოდ, თავის ხარჯზე აწარმოებდნენ მუშაობას.

სახლთუხუცესი დ. ჩიქოვანი, რომელიც სასახლის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ყოველნაირ თვითნებობასა და დაცინვას მიმართავდა გლეხების წინააღმდეგ. გლეხების მოთმინების ფიალა აივსო, როდესაც დ. ჩიქოვანმა თვითნებურად დაადო გლეხებს ხარკი წისქვილზე ჭირნახულის დაფქვისათვის. ამაოდ მოითხოვდნენ გლეხები ამ ხარკის გაუქმებას და, ბოლოს, ისინი აჯანყდნენ. აჯანყებულნი შეიარაღდნენ ვის რითაც შეეძლო და აშკარა წინააღმდეგობის გაწევა დაიწყეს. გლეხთა აჯანყება სხვადასხვა რაიონებში ერთ მძლავრ მოძრაობად გაერთიანდა.

სამეგრელოში აჯანყებულ გლეხთა ძირითადი ლოზუნგი გახდა ბატონყმობიდან გლეხების განთავისუფლების მოთხოვნა. ისინი მოითხოვდნენ ბეგარის ყველა სახის გაუქმებას, აუტანელი გადასახადებისა და ხარკების მოსპობას, მემამულეთაგან გლეხების განთავისუფლებას მიწით, წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას და თანასწორუფლებიანობის დამყარებას, ადგილობრივ თვითმმართველობაში გლეხთა მონაწილეობის უზრუნველყოფას და სხვ. აჯანყებულ გლეხთა ლოზუნგებმა და მოთხოვნებმა თავზარი დასცა არა მარტო სამეგრელოს ფეოდალურ არისტოკრატიას, არამედ მეფის თვითმპყრობელობის სატრაპებსაც.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კოლუბიაკინი თავის პატაკში სამეგრელოს აჯანყების გამო სწერდა:

„დასასრულ, მისი მიზანი იციან მხოლოდ წინამძღოლებმა ან განდობილებმა, მაგრამ ხალხისათვის ლოზუნგებივით გადასროლილი ზოგიერთი იდეები და სიტყვები აძლევენ მას ისეთ ხასიათს, რომლის დასასახელებლად საჭიროა მივმართოთ დასავლეთის რევოლუციურ ნომენკლატურას, მაგალითად: — „თავადთა და აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ყველა ადამიანები ძმები არიან“. „ფუფუნება ცოდვაა, და ამიტომ აკრძალულია ფაბრიკის მაუდისაგან შეკერილი ან ბუზმენტებით მორთული ჩოხების ტარება“, „სავაჭრო მოგება უნდა შეიზღუდოს, ზომიერი გახდეს, და ამიტომ წესდება ნიხრი არა მარტო ყველა ბუნებრივ ნაწარმოებზე, არამედ საერთოდ ყველა საქონელზეც“.

(„აქტები“ ტ. XII, გვ. 254)

აჯანყებულნი თავს ესხმოდნენ მემამულეთა სახლკარს და საეკლესიო საჭურჭლეებს, ხოცავდნენ წინააღმდეგობის გამწევ თავადებსა და აზნაურებს, ანთავისუფლებდნენ შინაყმებს, აპატიმრებდნენ და ერეკებოდნენ ფეოდალური პოლიციის წარმომადგენლებს, აუქმებდნენ მემამულეთა სასარგებლოდ არსებულ ყოველგვარ გადასახადებსა და ხარკებს და ზოგიერთ ადგილას გლეხთა თვითმმართველობას ჰქმნიდნენ.

მოსკოვიდან 1857 წ. მაისში დაბრუნებულმა სამეგრელოს მმართველმა ექ. დადიანმა სცადა მოეხდინა აჯანყების ლიკვიდაცია, მშვიდობიანი მოლაპარაკების და გლეხთა საჭიროებების დაკმაყოფილების შესახებ ფარისევლურ დაპირებათა მიცემის გზით.

მაგრამ ამ მიზნით გაგზავნილი თავ. გ. დადიანი და ეპისკოპოსი თეოფანე აჯანყებულებმა გამოაგდეს და მათ ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწიეს.

ამის შემდეგ სამეგრელოს მმართველმა ე. ა. დადიანმა დახმარებისათვის მიმართა მეფის ხელისუფლებას და დაბეჯითებით სთხოვდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნ. პ. კოლუბიაკინს გაეგზავნა ჯარები გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად.

გენერალ-მაიორმა ნ. პ. კოლუბიაკინმა შეჰკრიბა 200 ჯარისკაცი, 150 ყაზახი და გაეშურა სამეგრელოში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად.

გენერალ-მაიორ ნ. პ. კოლუბიაკინის შემდეგ სამეგრელოში მალევე გაგზავნეს სოხუმიდან ანაკლიით ქართული სახაზო ათასეული, შავი ზღვის სახაზო ათასეულის ორი ასეული, დონის № 2 პოლკის ყაზახები და სხვ.

გენერალ-მაიორმა ნ. პ. კოლუბიაკინმა მაისის დამლევს დამსჯელი რაზმის თანხლებით უშუალოდ გამართა მოლაპარაკება აჯანყებულებთან, რომლებსაც უტუ მიქავა მეთაურობდა.

აქრობდა რა გლეხთა გამოსვლას, გენერალ-მაიორი ნ. პ. კოლუბიაკინი თავის საიდუმლო მოხსენებაში იძულებული იყო ეღიარებინა:

„საუბარში, რომელმაც ერთ საათს გასტანა, უდიდესი მორჩილების მდგომარეობაში, გულისამაჩუყებელ - ენერგიული სიტყვებით აჯანყების წარმომადგენლებმა დამიხატეს აქაური ყმა

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თბილისი) ალკკ ორგანიზაციის მდივანი ამხ. ალიევა შესვენების დროს კითხულობს გაზეთს მებოსტნეობის პირველ ბრიგადაში.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ჩაის კრეფის მიმდინარეობა

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და ბრიგადებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, ახლაც ენერგიულად მუშაობენ. რომ ივნისის გეგმა ვადაზე და ხარისხოვნად შეასრულონ. მოწინავეთა რეკორდები აჩქარებს კოლმეურნეთა მასებს სამუშაოთა ნორმების დამსხვრევაში. იზრდება და მრავლდება ჩაის კრეფის ოსტატთა რიცხვი.

გალის რაიონიდან კორესპონდენტი ა. მარხულია იტყობინება, რომ კოლმეურნეობა „სალას" მერვე ბრიგადის წევრმა თამარ სათანაიამ ერთ დღეს 60 კილოგრამი ფოთოლი მოჰკრიფა. მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის მკრეფავთა ჯგუფი კომკავშირელ ხუხა ციკოლიას ხელმძღვანელობით დღიურ დავალებას 350-400 პროცენტით ასრულებს.

მოწინავე კოლმეურნეობანი ატარებენ სტახანოვურ ხუთდღიურებს გეგმების უკეთ შესასრულებლად. კორესპონდენტი ბ. ცინცაძე იტყობინება, რომ ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობა „პირველმა ნაბიჯმა" მოაწყო სტახანოვური ხუთდღიური. ხუთდღიურმა გამოავლინა სტახანოველი მკრეფავები: თეკლე სიხარულიძე, ელისაბედ ოსეფაშვილი და სხვ. ამავე რაიონიდან კორესპონდენტი ვ. უნგიაძე იტყობინება, რომ კოლმეურნეობა „ლამპარს" კარგად აქვს მოწესრიგებული ჩაის ფოთლის გადაზიდვა მიმღებ პუნქტამდე. ეს კი ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

იქ, სადაც სასოფლო საბჭო ნამდვილ ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს, გეგმებიც წარმატებით სრულდება. ცხაკაიას რაიონიდან ამხ. ერმილე ბაკურაძე იტყობინება, რომ ხორშის სასოფლო საბჭო კარგად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, და ყოველდღიურ დახმარებას უწევს. ხორშის კოლმეურნეობებმა ჩაის კრეფის მაისის გეგმა 10 მაისამდე შეასრულეს.

სტახანოველთა რიგების ზრდის შესახებ კოლმეურნე იროდი ფიფია გვწერს: „წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან 18 სტახანოველი ირიცხებოდა, ახლა კი 42 არისო".

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი მახარაძის რაიონიდან ამხ. მ. დარჩია იწერება: „ნატანების ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. გ. ტაკიძე) სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ფართოდ არის გაშლილი. კოლმეურნე ანეტა ბაბილოძე დღიურად 60 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს, ლიუდი ხურციძე 55 კილოგრამს, ხოლო ლიზა ხურციძე — 55.

დ. დვილავა და ვ. ჯაბისონია გადმოგვცემენ, რომ გეგეჭკორის რაიონის სოფ. გეგეჭკორის კიროვის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ყოველმხრივ ხელს უწყობენ სტახანოვური მოძრაობის გაშლას. ამით აიხსნება, რომ კოლმეურნეები: ან. კვესელავა, ნადია გეგეჭკორი, ე. რუხია და სხვ. დღიურ ნორმებს 200-230 პროცენტით ასრულებენ. ამხ. ამირან ხაინდრავა და ი. არონსია იწერებიან, რომ ამავე რაიონის სოფ. კიწიის კოლმეურნეობაში ფართოდ არის დანერგილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. დიდი ყურადღებით ეპყრობიან დამკვრელებს — სტახანოველთა ამ რეზერვს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან სპეციალისტებიც. აგრონომი ვ. კოკნაველიძე იტყობინება, რომ ლანჩხუთის რაიონის ატანის უბნის აგროტექნიკურმა პერსონალმა ჩაის კრეფის გეგმების ხარისხოვნად შესასრულებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რაიონის ყველა უბნის აგროპერსონალი. სიტყვას საქმეც მოჰყვა. არის ყველა პირობა იმისა, რომ ვალდებულებანი მთლიანად იქნება განაღდებული. ამავე რაიონიდან ამხ. ლ. კერესელიძე იტყობინება, რომ არჩეულის კოლმეურნეობის წევრები ფაცია ჭარგალიტაძე და თამარ აფხაზავა ჩაის კრეფის ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ და რომ იქ ფართოდ არის დანერგილი ფოთლის ორივე ხელით კრეფა.

კორესპონდენტი ე. გრიგოლია იწერება, რომ ზუგდიდის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. მაქაცარია) და მეხუთე ბრიგადა (ხელმძღვანელი გრ. ხარებავა) ჩაის კრეფის გეგმებს წარმატებით ასრულებენ ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით. ამავე რაიონიდან ამხ. ლ. ხასია იტყობინება: „სოფ. გრიგოლიშის კოლმეურნეობამ მაისის გეგმა 140 პროცენტით შეასრულა. კოლმეურნეობას 15 სტახანოველი ჰყავს. კოლმეურნე ანტისა ქობალია დღეში 84 კილოგრამ პირველი ხარისხის ფოთოლს ჰკრეფს".

კორესპონდენტთა სიგნალები მოწმობენ, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ იცავენ კრეფის აგროტექნიკურ ღონისძიებებს და ჩამორჩნენ გეგმის შესრულებაში. კორესპონდენტი მ. დარჩია იტყობინება, რომ სოფ. მაკვანეთის კოლმეურნეობაში დღემდე მოუწესრიგებელია ჩაის პლანტაციების მიმაგრება ბრიგადებსა და ჯგუფებზე. სოფ. მახარაძისა და მაკვანეთის კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა. გარდა ამისა, სოფ. მახარაძის კოლმეურნეობაში სარეველა ბალახები სჩაგრავს ჩაის ბუჩქებს. ასეთ ფაქტებს ვხვდებით ნიაბაურის, სილაურის, მაკვანეთის და გომის კოლმეურნეობებში.

არის აგრეთვე სიგნალი, რომ მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთის, ჰანიეთის, მაკვანეთის, მერიის და ნაღობილევის კოლმეურნეობების ფართობებზე თავი იჩინა ჩაის მავნებელმა. მავნებლებთან ბრძოლა ჯერჯერობით სუსტად მიდის.

კორესპონდენტი ირ. ჯალაღანია იწერება, რომ წალენჯიხის რაიონის ს. ჭალა-ფახულიანის მიმღებ პუნქტების გამგეები კ. ქარდავა და ვ. ჯალაღანია პუნქტზე მაზიდულ ფოთოლს დროულად არ ჰგზავნიან ჩაის ფაბრიკაში. ამიტომ ხშირია შემთხვევა მოკრეფილი ფოთლის გაფუჭებისა. ამხ. ა. პაპასკირის გადმოცემით, ფოთლის შეუფერხებლად გადაგზავნა სათანადოდ ვერ არის მოგვარებული ლესიჩინის (ჩხოროწყუს რაიონი) საბჭოთა მეურნეობაშიც. ტრანსპორტი და საწარმოო ნაკვეთების საავტომობილო გზები იქ ჯერ კიდევ ვიწრო ადგილს წარმოადგენს.

გეგეჭკორის რაიონიდან ამხ. მ. ბერულავა იტყობინება, რომ „სოფ. კურზუს ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფას. ჩაის პლანტაციები ბრიგადებზე დღემდე არ არის მიმაგრებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ხარიტონ აშორტია გაიძახის: ეს ჩემი საქმე არ არის, აგროტექნიკოსის (!) საქმეაო".

ამხ. გ. მოისწრაფიშვილი და ევ. შევარდნაძე სწერენ: „ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათის ჩაის ფაბრიკაში ბლომად მოიპოვებიან სტახანოველები. ასეთებია, მაგალითად, თამარ მიქაბერიძე (საჭკნობი საამქრო), კაპიტო ჩხაიძე (საგრეხი საამქრო), სამსონ კილაძე (სახმობი საამქრო), ქსენია წილოსანი (საგრეხი საამქრო), შ. ჩხაიძე (მზა პროდუქციის საამქრო). თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას 250-260 პროცენტით ასრულებს. კორესპონდენტ მ. დარჩიას გადმოცემით, მახარაძის ჩაის ფაბრიკას მაისში სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 42.921 კილოგრამი მზა პროდუქცია. ეს დავალება ფაბრიკამ ვადაზე ადრე შეასრულა. ჩაბარებული ჩაის მზა პროდუქციიდან 32.264 კილოგრამი პირველი ხარისხისაა.

სალიბაურის (ბათუმის რაიონი) ჩაის ფაბრიკის დირექტორი ამხ. ლორია იტყობინება, რომ „სტახანოველთა საყოფაცხოვრებო მომსახურებას დიდი ყურადღება ექცევა. სტახანოველი მუშები გადაყვანილი არიან კარგ ბინებში. მათ ბინებში დადგმულია რადიო და ისინი უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო ინვენტარით. ამ საქმეზე დირექციის მიერ დახარჯულია 17.500 მანეთი, მოწინავე ადამიანებს დირექციამ შეუძინა პატეფონები. ფაბრიკას 28 სტახანოველი ჰყავს, რომლებიც გეგმას 180-225 პროცენტით ასრულებენ".

მაგრამ მთელ რიგ ფაბრიკებში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის რიგზე. კორესპონდენტი ვ. თოფურიძე სწერს: „ატანის (ლანჩხუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკაში ელექტროსადგური „შეაკეთა" სამტრედიის სამონტაჟო განყოფილებიდან მოვლინებულმა სპეციალისტმა კურდღანოვმა. მაგრამ ფაბრიკა უსინათლობით ყოველდღიურად 2-3 საათს სცდებოდა, საჭირო გახდა მისი ხელახლად გადაკეთება. კურდღანოვი, როგორც ამბობენ, მოხსნილი ყოფილა სამუშაოდან. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მისი მავნებლური მუშაობა ბოლომდე უნდა იქნას გამომჟღავნებული და იგი სათანადოდ უნდა დაისაჯოს".

ამხ. ლ. წულაია იტყობინება, რომ დიდი ჭყონის ჩაის პირველი ფაბრიკის მიმღები პუნქტები, რომლებიც გაჭედილის სასოფლო საბჭოშია გახსნილი, ცუდად მუშაობენ. ჩაის გადაზიდვას ფაბრიკაში რამდენიმე დღით აგვიანებენ.

ყველაფერი რიგზე არ არის ნარაზენის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის ფაბრიკაში. კორესპონდენტი მ. გრიგოლია იტყობინება, რომ ფაბრიკაში სახმობი ღუმელები საკმაო რაოდენობით არ არის მოწყობილი. „საქჩაი" ამ საკითხის მოგვარებას აჭიანურებს.

კორესპონდენტთა დროული სიგნალებიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ ჩაის ფაბრიკის პარტიულმა, სამეურნეო და პროფესიულმა ორგანიზაციებმა. დრო დაყოვნებას არ ითმენს.

ბაღ-ხეივნები სადგურების ირგვლივ

მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით რკინიგზის ტრანსპორტს უდიდესი შესაძლებლობა მოეპოვება გააშენოს მაღალი კულტურის ბაღები და მოაწყოს საბოსტნე მეურნეობა განსხვისების ზოლში არსებულ ათეულ ათას ჰექტარზე.

ამ გარემოებას აქამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ტრანსპორტზე ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოსვლის შემდეგ დაისვა სერიოზულად რკინიგზის ტერიტორიის გამწვანებისა და იქ ბაღ-ბოსტნების გაშენების საკითხი. გზათა სახკომისარიატის ბრძანებით (№ 51ა) წინადადება აქვთ მიცემული რკინიგზების სამმართველოებს „მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მსხვილი კვანძების ირგვლივ კულტურული დეკორატიული ბაღებისა და ხაზებზე რკინიგზის შენობებთან ხილ-ბოსტნეულის ნარგავთა გაშენებას".

ა.-კ. რკინიგზაზე ამ მითითების გასატარებლად ჯერ კიდევ გასულ წელს იყო მიღებული ზომები. ამხანაგ ლ. ბერიას პირადი ინიციატივით გამოტანილი იქნა საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის საგანგებო დადგენილება, რომლითაც გზის სამმართველოს დაევალა საკითხის სათანადოდ დამუშავება და პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა.

ამ დავალების შესასრულებლად გზის სამმართველოსთან მოწვეული იყო სპეციალისტთა თათბირი, რომელმაც მეცნიერულად დაამუშავა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ზოლში რა მცენარე იხეირებდა და შეადგინა შესაფერისი გეგმა. საქმის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის სამგზავრო დარგთან ჩამოყალიბდა სპეციალური აპარატი, რომელმაც ფართოდ გაშალა თავისი საქმიანობა.

მთელი სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია ორ რიგად. პირველ რიგში უნდა გამწვანდეს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე 46 სადგურის ტერიტორია, რაც უკვე დაწყებულია და წელს უნდა დამთავრდეს.

აღნიშნულ 46 სადგურზე გამწვანების სამუშაოების უკეთესი ხელმძღვანელობისათვის, ისინი დანაწილებული არიან ცალკე აგროტექნიკურ უბნებად და ნარგავთა ჩაყრაც ხდება ადგილობრივი ჰავის, ნიადაგისა და ფლორის მიხედვით. მაგალითად, პირველ უბანში (ბათუმი — ბროწეულა—წყალტუბო და სამტრედია — ფოთი) ირგვება უმთავრესად სუბტროპიკული მცენარეულობა და ციტრუსოვანი ხეხილი; მეორე (ლიხი — გორი, ხაშური — სურამი და ხაშური — ბორჯომი)— და მესამე (გორი — თბილისი) უბნებში კი ისეთი მცენარეულობა და ხეხილი, რომელიც ყველაზე უკეთესად ეგუება ადგილობრივ ჰავას და ნიადაგს.

გამწვანების ფარგლებად აღებულია სადგურების ტერიტორია სემაფორებს შორის. ხსენებულ 46 სადგურზე მცენარეულობის დარგვა უკვე მოთავებულია. გარდა ხეივნებისა, ლიანდაგის გასწვრივ, თვით სადგურზე შენდება ბაღები და სკვერები, ამისათვის პირველ აგროუბანზე შემოკავებულია 5800 გრძივი მეტრი მიწის ფართობი, მეორეზე — 300 და მესამეზე — 500.

მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა წამოწყებული. ა.-კ. რკინიგზა ერთ-ერთ ულამაზეს გზად უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირში. შემოსდგამს თუ არა მგზავრი ფეხს მის ტერიტორიაზე დერბენტში, გზის რომელ შტოსაც უნდა გაჰყვეს იგი, დაუსრულებელ ხეივნებსა და წალკოტში უნდა უხდებოდეს მგზავრობა. ასეთია ამ დიდი საქმის მთავარი მიზანი გარდა იმისა, რომ ამ სამუშაოების შესრულებით შეიქმნება ლიანდაგის ცოცხალი დაცვა, რკინიგზის მშრომელთა სუფრას შემატება ძვირფასი ხილეული და გაჯანსაღდება მისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები მწვანე ნარგავით.

ამ საქმეზე წელს 550 ათასი მანეთი იხარჯება.

ეს სასარგებლო საქმე დაწყებულია, ახლა საჭიროა, რათა ყოველი საბჭოთა მოქალაქე უდიდესი თანაგრძნობით მოეპყრას მას, თვალისჩინივით გაუფრთხილდეს და მოუაროს გზის გასწვრივ დარგულ ყოველ ხესა და ყვავილს.

ა. მარიამიძე

◇ ◇ ◇

მოვსპოთ მავნებლობის შედეგები

(ჭიათურა, დიმიტროვის სახელ. მაღარო).

დიმიტროვის სახელობის მაღარო გეგმას ვერ ასრულებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მავნებლობის შედეგები ჯერაც არ არის ლიკვიდირებული.

მაღაროში მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ მენშევიკი ავანტიურისტი აკ. გაფრინდაშვილი, ალ. ასანიძე, ვ. ტოროშელიძე, კურტანიძე და სხვ. როგორც ირკვევა ამ მავნებლებს თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მაღაროს ყოფილი დირექტორი დ. მებუკე.

მაღაროს კომუნისტებმა, დაჰკარგეს რა კლასობრივი სიფხიზლე, ვერ შეამჩნიეს ცხვრის ქურქში გახვეული მგლები. მტრები სარგებლობდნენ ამით და აქტიურებდნენ თავიანთ მუშაობას.

მავნებელმა აკ. გაფრინდაშვილმა მესამე უბანში მთლიანად ჩაშალა მუშაობა, არ უზრუნველჰყო სამუშაოების წესიერი მოწყობა და ამით დააბრკოლა სტახანოვური მოძრაობის განვითარება. № 15 ლავაში შპურები აუფეთქებელი დასტოვა და ამით მუშები საფრთხეში ჩააყენა. ტროცკისტმა მავნებელმა ალ. ასანიძემ მეორე უბანი თითქმის სრულ ლიკვიდაციამდე მიიყვანა.

ეს არამზადები თავის მავნებლურ მუშაობას უმთავრესად მოსამზადებელ სამუშაოებზე ეწეოდნენ.

ისინი განზრახ აფერხებდნენ სანგრევების წინ წაწევის საქმეს. მეორე უბნის მთავარი გვირაბი შუა გზაზე შეაჩერეს და კვლავ უკან დაიწყეს სვლა. ფენა ჩამოწვა და ახლა შეუძლებელი ხდება დარჩენილი მარგანეცის საბადოსთან მისვლა. უკონტროლოდ სწარმოებდა აფეთქება. ახლა პირველ უბანში 37 სანგრევის ნაცვლად არის მხოლოდ 20, მეორე უბანში 22-ის ნაცვლად—12, მესამე უბანში 14-ის ნაცვლად—9.

რა ზომებია მიღებული ამ ჩამორჩენილი სამუშაოს წინწასაწევად? მოსამზადებელ სამუშაოებზე გარდატეხა ჯერ არ მომხდარა.აქ კვლავ დიდ უმსგავსოებას აქვს ადგილი. აფეთქება უხეიროდ სწარმოებს, მაგალითად, ამფეთქებელმა ერთ სანგრევზე თუ უნდა ააფეთქოს 13 შპური, ფაქტიურად აფეთქებს მხოლოდ 7-ს და შემდეგ სხვა სანგრევზე გარბის. ასე ხდება პირველ, მეორე და მესამე უბანში. ყველაფერი ეს იციან მაღაროების დირექტორმა ვ. კაპანაძემ, უბნის გამგეებმა კვიჟაშვილმა, კუპატაძემ და სხვ., მაგრამ რატომღაც ზომებს არ იღებენ.

ეს მდგომარეობა შეუწყნარებელია, მაღაროების სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა უნდა გააჩაღონ მუშაობა მავნებლობის შედეგების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

ქ. გურჯიძე
შ. ცარციძე

უქნარებს, ბიუროკრატებს სათანადო უნდა მიეზღოთ!

კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხანა თავისი ტექნიკური მოწყობილობით და სიმძლავრით მთელ საქართველოში პირველია. მასში შვიდასამდე მუშა მუშაობს. ქარხანა მაღალი ნაყოფიერებისაა, წელიწადში ერთცვლიანი მუშაობის დროს შეუძლია 90 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის გადამუშავება. წელს ქარხანას დიდი გეგმა არა აქვს, — 45 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის დახერხვა მისთვის ძალიან ცოტაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს გეგმაც არ სრულდება.

როგორ მიმდინარეობს ამჟამად ქარხნის ხე-ტყით მომარაგება?

შარშან ქარხანას უნდა მიეღო 33 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად დააცურეს მხოლოდ 25 ათასი, ხოლო 8 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე ქარხნიდან 45 კილომეტრის დაშორებით წყალში ჩარჩა. წელს 1 იანვრიდან 27 თებერვლამდე ნედლეულის უქონლობის გამო ქარხანა გაჩერებული იყო, მაშინ როდესაც ზამთრის განმავლობაში წყლის ხელსაყრელი დონის გამო ჯოლოგად დაცურება სავსებით შესაძლებელი იყო. წყალში ჩარჩენილ 8 ათასი მეტრი მასალიდან ქარხანამ 29 მარტისათვის მხოლოდ 2.000 კ. მ. ხე-ტყე დააცურა. დანარჩენი მასალა კოდორის ხეობაშია დაფანტული და მისი დაცურება თოვლის წყლის დავარდნამდე დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც ქარხანას წყალდიდობის პირობებში ხე-ტყის დასაჭერი ნაგებობა არა აქვს მოწყობილი.

ხე-ტყის დამზადება - გამოზიდვის მხრივ ქარხანა პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაშია. დამზადებული და გამოზიდული უნდა ყოფილიყო 36 ათასი კუბ. მეტრი მერქანი; 29 მარტისათვის ადგილზე დამზადებულია მხოლოდ 9 ათასი კუბ. მეტრი, ხოლო გამოზიდულია 5.000 მეტრი, დანარჩენი 27 ათასი ახლა უნდა დამზადდეს.

რა მოჰყვება ასეთ მუშაობას? ის, რომ ახლა დამზადებული ხე-ტყე, მისი სინედლის გამო, წყალში უფრო დამძიმდება და გზაში 80 კილომეტრის მანძილზე მდინარის ღრმა ადგილებში ჩაიძირება. ამით, უდავოა, დანაკლისი არაჩვეულებრივად გაიზრდება. ეს მავნებლობაა, — სულერთია, პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

ჩვენში თოვლი ადრე დნება. ყველა დამამზადებელმა მეურნეობამ უნდა იცოდეს, რომ ხე-ტყე უნდა დამზადდეს და გამოიზიდოს დროზე, დიდი თოვლის მოსვლამდე, რომ შენაკადებში ჩაყრილი ხე-ტყე დიდ მდინარეებში თოვლის გადნობამდე ჩაცურდეს. ხე-ტყის დაცურება კი დამოკიდებულია მის თავის დროზე დამზადება-გამოზიდვაზე. ამიტომ ეს უნდა ხდებოდეს შემოდგომის პერიოდში და არა მაშინ, როცა თოვლის გამო ტყეში შესვლა და მუშაობა ძნელი ხდება, მით უმეტეს, რომ მუშა-ხელი და გამწევი ძალა შემოდგომიდან შედარებით თავისუფალია. ამ დროისათვის უკვე დამთავრებული უნდა გვქონდეს ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებთან მუშა-ხელისა და გამწევი ძალით უზრუნველყოფაზე. მაგრამ კოდორში არღვევენ პარტიისა და მთავრობის ამ დირექტივას.

კოდორის ქარხნის ხელმძღვანელობა აშკარა დანაშაულს სჩადის, როდესაც რაჭა-ლეჩხუმიდან ხე-ტყის სამუშაოებზე წამოყვანილ კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს მუშაობის დამთავრების შემდეგ თვეობით უჩერებს კუთვნილ ხელფასს. კიდევ მეტი. მუშების შარშანდელი ხელფასის ნაწილი დღესაც გაუსტუმრებელია. ეს იწვევს მუშა-ხელის დენადობას, გეგმის შეუსრულებლობას. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ქარხნის დირექტორს ამხ. პრილიპკოს დაკრედიტების საკითხი ბანკთან ჯერაც არ მოუგვარებია.

აქედან დასკვნა: ქარხანა წელს სანახევროდ ვერ შეასრულებს გეგმას.

კიდევ ერთი უმსგავსოების შესახებ. ქარხანას დამცურებელი მეურნეობა ცალკე არა აქვს გამოყოფილი. დამცურებელი მეურნეობა სამეურნეო ანგარიშზე უნდა არსებობდეს. ცალკე უნდა გამოიყოს ხე-ტყის დამამზადებელი მეურნეობაც. ეს ორი მეურნეობა ურთიერთშორის უნდა სდებდეს ხელშეკრულებას, რომ დამამზადებელი მეურნეობა დამცურებელს გარკვეულ ვადაში აბარებდეს ხე-ტყეს. დამცურებელ მეურნეობას კი თავის მხრივ ხელშეკრულება დადებული უნდა ჰქონდეს ქარხანასთან, რომ ხე-ტყის მიწოდების ვადები დაიცვას და ქარხანას გამოულევლად ჰქონდეს სახერხი მერქანი. ახლა პასუხისმგებელი ყველაა, მაგრამ უპასუხისმგებლონი სჭარბობენ.

ქარხანას დღემდე არ მოუგვარებია ანასტასოვკიდან ტივების დაცურება. მეტივეები თოკების მიღებას მთელი კვირაობით უცდიან. განა შეიძლება მუშაობის ასეთი „წვრილმანებით" შეფერხება? ტივებისათვის დამხმარე იარაღები — ულელი, წკნელი და სხვ. ქარხანაში არა აქვთ მიღებული. ტივებს თოკებით ჰკრავენ, რის გამო გზადაგზა, ნაპირებზე დაჯახების დროს, ტივი ინგრევა, მორები იფანტება, მეტივეებს მისი შეგროვება და შეკვრა ხელმეორედ უხდებათ. ეს დიდ დროს მოითხოვს და ზედმეტ ხარჯს იწვევს. აბა, თუ დაფიქრებულან ამ „წვრილმანებზე" კოდორის ქარხანაში!..

1933 წელს ჩხალთაში დაუწყიათ ხე-ტყის გამოსაზიდი საბაგირო გზის მშენებლობა, რაზედაც 150 ათას მანეთზე მეტია დახარჯული, მაგრამ ეს გზა დღესაც დაუმთავრებელია და დაბანდებული თანხები ტყვილა იკარგება.

ქარხანაში დაცურებული მასალის უმეტესი ნაწილი დამტვრეული და გაბზარულია. დაზგიდან გამოსვლის შემდეგ ფიცრები იმტვრევა. ამის მიზეზია ის, რომ სიგრძით 8-მეტრიანი და დიამეტრით 80-სანტიმეტრიანი მორები მაღლიდან წყალში ჩაყრის დროს თავის სიმძიმეს ვერ უძლებენ, იმტვრევიან, ხოლო დახერხვის შემდეგ ცუდი ხარისხის მასალას ვღებულობთ. მაღალი ადგილიდან დასაცურებლად წყალში გადმოყრილი მორების სიგრძე უნდა იყოს 4-5 მეტრი, დიამეტრი დასაშვებია 100 სანტიმეტრამდე.

ქარხნის ასეთ მდგომარეობაში დატოვება მავნებლობა იქნებოდა. საჭიროა ხელმძღვანელი კადრების გადახალისება, უგუნურების, ბიუროკრატების განდევნა სამუშაოდან და ხელმძღვანელობის მინდობა უნარიანი, საქმიანი ადამიანებისათვის.

ს. ქაჯაია.

გლეხთა ტანჯვა: გადასახადები უზომოა, ოჯახები ქუცმაცდება, საკუთრება დამოკიდებულია თვითნებობაზე, საჩივრები მომჩივანთათვის მხოლოდ ახალი შეურაცხყოფისა და ზარალის საბაბი ხდება. ერთი სიტყვით, გლეხები სამეგრელოში ადამიანები არ არიან. ისინი დიდხანს ელოდნენ თავისი ბედის შეცვლას; მაგრამ, რაკი დარწმუნდნენ, რომ მოთმინებითა და ოხვრა-კვნესით ვერ მიიპყრობენ მოწყალე და სამართლიან ყურადღებას, მათ გადასწყვიტეს, რომ უმჯობესია გაწყდნენ, ვიდრე განაგრძონ ტანჯული სიცოცხლე".

(„აქტები", ტ. XII, გვ. 255).

გენერალ-მაიორმა კოლუბიაკინმა, რომელიც მეფის ჯარებს მეთაურობდა, 1857 წლის ივნისის განმავლობაში ცალკეულ სოფლებში მთელ რიგ შეიარაღებულ შეტაკებათა შემდეგ მოახერხა აჯანყების ჩაქრობა.

კავკასიის მთავარმართებელმა თავ. ბარიატინსკიმ მოიწონა აჯანყების ჩასაქრობად მიღებული ზომები და 6 ივნისს გასცა განკარგულება აჯანყების ხელმძღვანელების—უტუ მიქავას, უტუ თოდუას და სხვათა დაპატიმრების შესახებ. მან ბრძანა უმკაცრესი ზომები მიეღოთ, რათა აეძულებინათ ყმა გლეხობა კვლავ შეესრულებინა ფეოდალური ბეგარები მემამულეებისათვის.

„1...ამის პირველი და აუცილებელი პირობა, —სწერდა თავ. ბარიატინსკი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, — მდგომარეობს იმაში, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ჯეროვან მორჩილებას თავიანთ ხელისუფალთადმი, თავის ჩვეულებრივ მოსაქმეობას და თავის კანონიერ მფლობელთა წინაშე ბეგარის მოხდას...

2) სამეგრელოს სახალხო აჯანყების მთავარი მოღვაწენი, გლეხები უტუ თოდუა და უტუ მიქავა დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნან. მათ შესახებ განსაკუთრებულ განკარგულების გაცემამდე".

(„აქტები", ტ. XII, გვ. 262—263).

○

მეფის მთავრობამ გადასწყვიტა სამეგრელოში გლეხთა ამბოხება გამოეყენებინა სამეგრელოს სამთავროს „დამოუკიდებლობის" ლიკვიდაციისათვის და რუსეთის მმართველობის სისტემაში სამეგრელოს შეყვანისათვის.

1857 წლის 19 ივნისს (2 ივლისს) ვითომდა გლეხთა აჯანყების მიზეზების გამოსარკვევად, ნამდვილად კი სამეგრელოში მეფის ხელისუფლების აპარატის შესაქმნელად, ბარიატინსკიმ იქ გაგზავნა ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი, გაქნილი ჩინოვნიკი დიუკრუასი.

განსაკუთრებული რწმუნებებით აღჭურვილმა დიუკრუასიმ, ეყრდნობოდა რა რუს საოკუპაციო ჯარს. რომელიც მთელ სამეგრელოს მოუდო და ცეცხლითა და სისხლით ახშობდა გლეხთა ახალ გამოსვლებს, შეიმუშავა სამეგრელოში მეფის ხელისუფლების ორგანიზაციის პროექტი. ამ პროექტის საფუძველზე 1857 წლის 2 სექტემბერს ამიერკავკასიის მთავარმართებელმა თავ. ბარიატინსკიმ გასცა განკარგულება სამეგრელოს სამმართველო საბჭოს შექმნისა და ამ საბჭოს თავმჯდომარედ გენერალ ნ. პ. კოლუბიაკინის დანიშვნის შესახებ.

ასე მოახდინა თვითმპყრობელობამ სამეგრელოს „დამოუკიდებლობის" ლიკვიდაცია და საბოლოოდ ჩამოაშორა ძალაუფლებას ადგილობრივი ფეოდალური დიდკაცობა. კავკასიის მთავარმართებლის თავ. ბარიატინსკის სახელით სამეგრელოს მცხოვრებთ გამოეცხადა შემდეგი:

„ის ადამიანები, რომლებიც ცნობილი იქნებიან საზოგადოებისათვის მავნებლებად, ან გაუსწორებლებად, გადასახლებული იქნებიან მხარიდან... მიწის საკუთრება რჩება იმ მდგომარეობაში რომელშიაც უსწრებს მას ახლა შემოღებული მმართველობა... ვუცხადებ რა ამას სამეგრელოს მცხოვრებთ და გადავცემ რა ყველა მის მატერიალურ და ზნეობრივ ინტერესებს მმართველობის საქმეში გამოცდილი გენერალ-მაიორ კოლუბიაკინის უახლოეს მზრუნველობას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი მეგრელი, რომელმაც თავი აარიდა თავის მოვალეობათა შესრულებას, დაუყოვნებლივ დაუბრუნდება მათ".

(„აქტები". ტ. XII, გვ. 315).

რუსეთის მეფე ალექსანდრე მეორემ სავსებით მოიწონა ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულ იქნა კავკასიის ხელისუფლების მიერ სამეგრელოს მიმართ.

„ვცნობ რა თავ. ბარიატინსკის მიერ მიღებულ ზომებს სავსებით შესაფერისად სამეგრელოში არსებულ მდგომარეობასთან, ვიწონებ მათ და იმედი მაქვს, რომ ღვთის შეწევნით ეს ზომები სასურველი წარმატებით დაგვირგვინდება", —სწერდა თავის რესკრიპტში მეფე ალექსანდრე II.

(„აქტები", ტ. XII, გვ. 316).

გლეხთა აჯანყების ჩაქრობისა და სამეგრელოში მეფის ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჯანყების ხელმძღვანელნი და აქტიური მონაწილენი 32 კაცის რაოდენობით, 1857 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) გადასახლებულ იქნენ ციმბირში, უმთავრესად არხანგელსკის გუბერნიაში, 3-დან 10-მდე წლის ვადით. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელი უტუ მიქავა გადასახლებულ იქნა არხანგელსკის გუბერნიაში ათი წლის ვადით; იქ მან 9 წლამდე დაჰყო და სახლში დაბრუნების შემდეგ წალენჯიხელ გლეხთა დაჟინებითი მოთხოვნით, მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა, პირველ არჩეულ მამასახლისად იყო.

○

მეგრელ გლეხთა აჯანყება 1857 წელს წარმოიშვა გლეხობასა და ფეოდალებს შორის კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი გამწვავების ვითარებაში.

იგი ჩაქრობილ იქნა რუსეთის ცარიზმის შეიარაღებული ძალებითა და თავისი ფეოდალების მიერ.

ობიექტურად აჯანყებას არ შეეძლო გაემარჯვა, ვინაიდან იგი ატარებდა სტიქიურ, მცირედორგანიზებულ ხასიათს, რომელიც გაშუქებული არ იყო გარკვეული პოლიტიკური მიზნით. აჯანყებას იმიტომაც არ შეეძლო გაემარჯვა, რომ იგი ლოკალურ ხასიათს ატარებდა, ვერ მოედო მეზობელ რაიონებს, ხოლო, რაც მთავარია, მაშინ სამეგრელოში და მთელ საქართველოში არ იყო გამარჯვების ძირითადი გადამწყვეტი პირობა, სახელდობრ, არ იყო პროლეტარიატი.

ამგვარ გლეხურ აჯანყებებზე ლენინი სწერდა:

„გლეხთა აჯანყება ჩაქრობილ იქნა, იმიტომ რომ ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, აჯანყება, რომელიც არ აყენებდა გარკვეულ, ცხად პოლიტიკურ მოთხოვნებს, ე. ი. არ აყენებდა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის მოთხოვნას. გლეხთა აჯანყება ჩაქრობილ იქნა იმიტომ, რომ სოფლის პროლეტარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან... გლეხები აღდგნენ შეუგნებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მდგომარეობა აუტანელი გახდა, რომ მათ არ უნდოდათ დახოცილიყვნენ უსიტყვოდ და წინააღმდეგობის გაუწევლად".

(ლენინი, თხზ. ტ. V, გვ. 312).

მაგრამ, მიუხედავად დამარცხებისა, მიუხედავად მთელი თავისი შეცდომებისა, სამეგრელოს 1857 წლის აჯანყებას, უტუ მიქავას ხელმძღვანელობით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც გლეხთა ბრძოლას ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ და ბატონყმური წესწყობილების სრული ლიკვიდაციისათვის.

აჯანყების მნიშვნელობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ იგი გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც აიძულა მეფის კოლონიზატორები დაეჩქარებინათ საქართველოში 60-იან წლებში ეგრეთწოდებული გლეხური რეფორმის გატარება.

უკვე 80 წელიწადი გავიდა 1857 წლის აჯანყებიდან. მაგრამ მეგრელ გლეხთა ამ გმირული ბრძოლის ხსოვნა დღემდე ცოცხლობს ქართველ ხალხში, როგორც ხსოვნა ერთერთი უაღრესად საინტერესო ფურცლისა ფეოდალებისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიაში.

სამეგრელოს გლეხები იმიტომ დამარცხდნენ, რომ მათს ბრძოლას არ ხელმძღვანელობდა მუშათა კლასი.

„ჩვენ, ბოლშევიკებს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი საუბარში გერმანელ მწერალ ემილ ლიუდვიგთან, — ყოველთვის გვაინტერესებდა ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორიც იყვნენ ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვ. ამ ადამიანთა გამოსვლებში ჩვენ ვხედავდით ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ჩვენთვის ყოველთვის ინტერესს წარმოადგენდა გლეხობის ასეთ აჯანყებათა პირველი ცდების შესწავლა... გლეხთა ცალკეული აჯანყებები, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ისინი არ არიან ისეთი ყაჩაღური, დაურაზმავი, როგორც იყო სტენკა რაზინის აჯანყება. ვერაფერ სერიოზულს ვერ გამოიწვევენ.

გლეხთა აჯანყებებს შეუძლიათ წარმატება გამოიწვიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეხამებული არიან მუშათა აჯანყებებთან და თუ მუშები ხელმძღვანელობენ გლეხთა აჯანყებებს".

(„ბოლშევიკი", 1932 წ. № 8, გვ. 37).

◆

ნათესების დამუშავება კოლმეურნეობებში

მიწსახკომის 5 ივნისის ცნობებით

რაიონები	სიმინდის პირველი გათოხნა		სიმინდის მეორე გათოხნა		მზესუმზირას პირველი გათოხნა		მზესუმზირას მეორე გათოხნა	
	გეგმის შესრულება ჰექტარობით	შესრულება პროცენტ.	გათოხნილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით	გათოხნილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით	გათოხნილია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
ახალციხე	285	33,5						
ადიგენი	81	7,5						
ასპინძა	81	39,2						
ხაშური	3045	27,3						
გორი	984	11,7						
კასპი	188	6,8						
ბორჯომი	125	11,6						
გურჯაანი	1189	30,6						
სიღნაღი	534	25,2			841	53,4		
თელავი	992	15,7			3069	46,1		
ყვარელი	1073	35,6	6	0,2				
ლაგოდეხი	1224	51,6						
თბილისი	287	16,3			291	68,5		
ყარაია	387	72,5			26	7		
ბორჩალო	301	62,8	24	5	114	48,3	15	6,8
ლუქსემბურგი	341	33,9						
წალკა								
დუშეთი	218	21,8			0	0		
ალბულაღი	309	18,3			10	6		
საგარეჯო	233	6,7	5	0,1				
ბაშკიჩეთი	0	0						
თიანეთი	0	0						
ქუთაისი	4875	29,2	16	0,1				
სამტრედია	1878	21,6						
წულუკიძე	589	10						
ვანი	1622	31,6						
ბაღდათი	876	20,4						
ჯუღელი	486	6,6						
ჩხარი	1978	28,3	1477	21,2				
ჭიათურა	8698	51,2			1	100	1	100
ორჯონიკიძე	1696	21						
ტყიბული	499	9,8						
ონი	904	36,8						
ამბროლაური	2103	33,4						
ცაგერი	1058	27,2						
ქვემო-სვანეთი	0	0						
აბაშა	965	9,2						
ცხაკაია	528	5,3						
გეგეჭკორი	1367	15,6						
ზუგდიდი	1397	17,9						
ხობი	248	4,4						
წალენჯიხა	346	19,1						
ჩხოროწყუ	520	12,2						
მახარაძე	419	8,2						
ლანჩხუთი	665	10,8						
ჩოხატაური	112	3,1						
ფოთი	211	77						
აფხაზეთის ასსრ	2533	9,4						
აჭარის ასსრ	493	12,5						
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	2414	28,6						
სულ რესპუბლიკაში	51248	20,2	1528	0,6	4805	49,2	16	0,1

კომუნისტი

ხუთშაბათი, 10 ივნისი, 1937 წ. № 131 (4932).

თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი ამხ. კლაუ თვალიერებს გადასარგავ ყვავილს „კლივიას".
ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

25 ივნისს — მეორე ხუთწლედის სესხის ტირაჟი

25 და 26 ივნისს თბილისში შესდგება მეორე ხუთწლედის მეოთხე წლის გამოშვების სესხის მეორე ტირაჟი. ტირაჟი მოეწყობა საქფილეგთის საზაფხულო ბაღში პლეხანოვის პროსპექტზე.

ტირაჟთან დაკავშირებით 10 ივნისს მოწვეულია თბილისის რაისაბჭოების, რაიფინგანების, რაიშემნახველი სალაროებისა და მასობრივ სესხთა გავრცელების ხელშემწყობი კომისიების თათბირი, რომელიც გამოიმუშავებს ტირაჟისათვის მზადების პროგრამას.

○

18 ივნისს ტირაჟთან დაკავშირებით თბილისში ეწყობა საქალაქო-საგიტაციო ავტოგადარბენა. სპეციალურად გაფორმებული ავტოკოლონები ჩამოივლიან ქალაქის მაგისტრალურ ქუჩებს და ესტუმრებიან ყველა მსხვილ წარმოება-დაწესებულებას.

ამავე დღეებში მსხვილ წარმოება დაწესებულებებში მოეწყობა საუბრები საშემნახველო საქმისა და მასობრივ სესხთა მნიშვნელობის შესახებ. ტირაჟამდე რესპუბლიკის რაიონებს შორის ოთხჯერ მოეწყობა რადიო-გამოძახება.

ტირაჟის დამთავრების მეორე დღეს, 27 ივნისს, ქალაქის მთავარ ქუჩებზე, მოედნებზე, პარკებში და საერთოდ ყველგან ხალხის თავმოსაყრელ ადგილებზე მოეწყობა „ცნობათა მაგიდები", სადაც ყველა მოქალაქეს შეუმოწმებენ ობლიგაციებს.

ობლიგაციების მასობრივი შემოწმება თბილისში ერთ დღეს უნდა დამთავრდეს.

საერთაშორისო ენა ესპერანტო

დედამიწის ზურგზე 86-მდე სახელმწიფო ენა არსებობს. ცხადია, ადამიანს არ ძალუძს ამდენი ენა შეისწავლოს. ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ღირსეული შვილები დაინტერესებული არიან გაეცნონ ყველა ქვეყნის კუნჭულს, შეისწავლონ იქაური ხალხის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება.

უკვე არაერთხელ იყო ცდა იმისა, რომ საერთაშორისო დამხმარე ენად აერჩიათ რომელიმე უფრო კულტურული ერის ენა. მაგრამ ყველა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. ყველა ერის ენას ახასიათებს თავისებურება, აქვს რთული გრამატიკა. ამიტომ გადასწყდა შემოეღოთ ერთი საერთაშორისო დამხმარე ენა — ესპერანტო, რომლის გრამატიკა ადვილად შესათვისებელია.

ესპერანტოს ენის შესწავლა შეიძლება 6-7 თვეში, უცხო ენის მცოდნეს კი შეუძლია შეისწავლოს 3-4 თვეში.

1931 წ. ამსტერდამის კონგრესზე რევოლუციონერმა ესპერანტისტებმა დაარსეს თავისი ორგანიზაცია შემდეგი სახელწოდებით „ინტერნაციონალური პროლეტარული ესპერანტისტები". ამ ორგანიზაციის გაფორმების შემდეგ რევოლუციონერი ესპერანტისტები გადავიდნენ ესპერანტოს პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ორგანიზაციას თითქმის ყველა სახელმწიფოში აქვს სექციები. გერმანიაში ფაშისტურმა მთავრობამ აკრძალა სკოლებში ესპერანტოს სწავლება, სპეციალური დეკრეტით აკრძალეს აგრეთვე რევოლუციონერ ესპერანტისტთა ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, დახურეს მათი ორგანიზაციები.

ინტერნაციონალური პროლეტარული ესპერანტისტების სექციები ყველა სახელმწიფოში სცემენ თავის ჟურნალებს და ბიულეტენებს.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას ფართოდ იყენებენ ესპერანტოს. მხოლოდ საქართველოში ამ მხრივ თითქმის არაფერი კეთდება.

მუშებმა უნდა შეისწავლონ ესპერანტო, იქონიონ მჭიდრო კავშირი საზღვარგარეთის მუშებთან, რაც დიდ ნაყოფს მოუტანს ჩვენს ინტერნაციონალური მუშაობის საქმეს.

საჭიროა განსახკომმაც განიხილოს ესპერანტოს საკითხი, გამოსცეს სახელმძღვანელო ქართული ლექსიკონით და ესპერანტოს სწავლება შემოიღოს არასრული საშუალო სკოლების მეექვსე და მეშვიდე კლასებში.

ესპერანტო საშუალებას მოგვცემს შევასწავლოთ მოსწავლეებს საერთაშორისო ტერმინოლოგია და ყველა ენის გრამატიკის ანალიზი.

ესპერანტისტი ალ. თადუმაძე.

◇

ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტი ბათუმში

ბათუმში შენდება ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტი, რაზედაც 300 ათასი მანეთი დაიხარჯება. ამასთან გადაწყვეტილია საბავშვო ბაგის აგება, რაზედაც უნდა დაიხარჯოს 302 ათასი მანეთი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, ამ თანხების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის, ნება დართო ჯანსახკომს, ინსტიტუტის მშენებლობაზე გამოიყენოს საბავშვო ბაგისათვის გათვალისწინებული 302 ათასი მანეთიც იმ ანგარიშით, რომ შენობა დამთავრდეს მთლიანად წელს და მისი ნაწილი გამოიყოს 90 საწოლიანი საბავშვო ბაგისათვის. საბავშვო ბაგა იზოლირებული უნდა იყოს ინსტიტუტისაგან.

◇

ილიას საიუბილეო დღეები

დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის შესრულების გამო მის სამშობლო სოფელ ყვარელში საიუბილეო დღეები დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს.

ილიას იუბილესთან დაკავშირებით ყვარლის წარმოება-დაწესებულებებში ტარდება ილიას მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებები და საღამოები. ასეთი სახის საღამოები მოეწყო ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, გავაზის სას. საბჭოში, ყვარლის საშუალო სკოლაში, შილდის და ახალი სოფლის კლუბებში.

ყვარელში ამჟამად მთავრდება ილიას ეზოს გამწვანება, ილიას სახლში მიმდინარეობს მუშაობა მისი რესტავრაციისათვის, შენობაში მოთავსებული იქნება ილიას მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ყვარლის რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით ყვარლის სრულ საშუალო სკოლას ეწოდა ილიას სახელი. შენდება ილიას სახელობის საბავშვო სახლი.

მთელ რაიონში გამოცხადებულია ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო დეკადა, რაიონის კოლმეურნეობებში ტარდება ილიას შემოქმედების შესახებ მოხსენებები, საღამოები და მის ნაწარმოებთა მასობრივი კითხვა. 6 და 7 ივნისს ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოეწყო საიუბილეო საღამო. მიმდინარეობს ილიას შესახებ მოგონებებისა და მისი პირადი ნივთების შეგროვება.

○

ლანჩხუთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილი საღამო. თეატრის დარბაზს ამშვენებს მოქანდაკე ამხ. ლოჩოშვილის მიერ გაკეთებული ილიას ბიუსტი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. ვ. ქარსელაძემ. ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ჩხაიძემ. საღამოს დასასრულს თეატრმა მოაწყო ილიას უკვდავ ნაწარმოებთა „კაკო ყაჩაღის", „განდეგილის", „ოთარაანთ ქვრივისა" და სხვათა ინსცენირება. ილიას სახელის უკვდავსაყოფად ლანჩხუთის პარტრაიკომმა და აღმასკომმა პედაგოგიურ ტექნიკუმს მიაკუთვნეს ილია ჭავჭავაძის სახელი; დაწესებულია ორი სტიპენდია, რაიონის ცენტრის ბაღში დადგმულია მოქანდაკე ლოჩოშვილის მიერ გაკეთებული ილიას ძეგლი.

○

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მასობრივმა განყოფილებამ 8 ივნისს, ბიბლიოთეკის პერიოდიკის დიდ დარბაზში თავის მკითხველებისათვის მოაწყო დიდი ქრთველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის თავის აღსანიშნავი საღამო.

საღამოზე ვრცელი მოხსენებით „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება" გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გ. ქუჩიშვილმა, მ. პატარიძემ, ა. შანიძემ, ს. ხიდისთაველმა და ს. გერგიშვილმა.

საღამოს დასასრულს ილიას ლექსები წაიკითხეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ორდენოსანმა მსახიობმა თ. ჭავჭავაძემ და პიერ კობახიძემ

ყვავილის აცრა ძველად საქართველოში

ექ. დავ. ღვინეფაძე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყვავილის აცრა იმ წესით, როგორც ამჟამად არის მიღებული, პირველად შემოიღო ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენერმა, რომელიც ცხოვრობდა 1749 — 1823 წ.

იგი კარგად იცნობდა ხალხურ მედიცინას და იმ დროს ინგლისში გავრცელებულ ყვავილის საწინააღმდეგო აცრას.

ჯენერამდე აცრას შემდეგნაირად ახდენდნენ: აიღებდნენ დაავადებული ადამიანის ჩირქს და მით უცრიდნენ საღ ადამიანს. ამის შემდეგ ყვავილს ადამიანი ადვილად იტანდა.

აცრის ასეთი წესი ჯენერამდე ინგლისსა და საერთოდ მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა საქართველოდან. როგორც დაცული ისტორიული ძეგლებიდან ირკვევა, ყვავილის საწინააღმდეგო აცრა დიდი ხანია შემოღებული ყოფილა საქართველოში. აი რას სწერენ ამის შესახებ იენის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მედიცინის ისტორიის პროფესორი ტ. მეიერ-შტეინეგი და ლაიპციგის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მედიცინის ისტორიის პროფესორი კ. ზუდგოფი:

„...განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთის ექიმის ემანუილ თიმონის მიერ 1713 წელს გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ქართველები და ჩერქეზები გაჰკაწრავენ კანს ყვავილის ჩირქში დასველებული ნემსით და ამით იწვევენ ყვავილის სუსტ ფორმას, რაც ადამიანს იცავს ნამდვილი ყვავილის ინფექციისაგან.

ეს მეთოდი მაშინვე გახდა ცნობილი ევროპაში ინგლისის კონსტანტინეპოლელი ელჩის მეუღლის ლედი უორტლეი მონტეგიუს წყალობით.

ყვავილის ამ წესით აცრას უეჭველად მრავალი მიმდევარი გაუჩნდებოდა ევროპაში და კერძოდ ინგლისში.

ნ. ჰამალეი სწერს: მონტეგიუმ აცრა ამცნო ევროპას და იგი სწრაფად გავრცელდა ყველა კულტურულ სახელმწიფოში. ანჯელო ჰატმა მოიგონა ლანცეტი, რის გამო ასაცრელ პირთა შორის შიშმა იკლო.

საქართველოდან გადმოტანილი წესით ყვავილის საწინააღმდეგო აცრის შემდეგ ყვავილის გამო სიკვდილიანობა ერთობ დაეცა.

იგივე ნ. ჰამალეი სწერს: თუ აცრამდე ევროპაში სიკვდილიანობა უდრიდა ყვავილით დაავადებულთა 50 პროცენტს, აცრის შემდეგ სიკვდილიანობა ერთიდან ოთხამდე მოდიოდა ათასზეო.

ადამიანიდან ადამიანზე ყვავილის ჩირქის გადატანას მაინც საშიშროება მოსდევდა: თუმცა იშვიათად, მაგრამ აცრის შემდეგ ავადმყოფობა რთულდებოდა.

ამ გარემოებას ამცრელებიც აკვირდებოდნენ. გამოარკვიეს, რომ იმ პირთ, რომლებიც ძროხის ყვავილით იყვნენ დაავადებულნი, აცრის მიზნით ადამიანიდან გადატანილი ყვავილი აღარ გამოაჩნდათ.

ამას ჯენერიც დააკვირდა. მან ითათბირა თავის მასწავლებელთან, ცნობილ ფიზიოლოგ ჯონ ჰენტერთან ყვავილით დაავადებული ძროხის შრატის გამოყენების შესახებ და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველი ცდა მოახდინა 1796 წლის 14 მაისს.

ჯენერის წესით ყვავილის საწინააღმდეგო აცრა, როგორც ჩანს, გაუმჯობესება ყოფილა ყვავილის აცრის იმ მეთოდისა, რომელიც საქართველოში შეიტყო ბერძენმა ექიმმა ემანუილ თიმონმა. ხოლო მან ინგლისის კონსტანტინეპოლელი ელჩის მეუღლის პირით ამცნო ჯერ ინგლისსა და შემდეგ მთელ დასავლეთ ევროპას.

რომ ჩვენში ყვავილის საწინააღმდეგო აცრა ძველთაგანვე კარგად ყოფილა დანერგული და გავრცელებული, გარდა ზემოთ მოყვანილი მედიცინის ისტორიკოს-პროფესორებისა, შემდეგი საბუთიც ადასტურებს.

გენ. ციციანოვი საქართველოდან სწერს შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ კოჩუბეის 1805 წლის 19 ოქტომბერს.

„მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ რამდენიმე ასეული წელია, რაც საქართველოს სოფლებში უცრიან ყვავილს და ისიც არა ძროხისას, არამედ ჩვეულებრივს და ამასთანავე ეს ავადმყოფობა არავითარ ცუდ შედეგებს არ იძლევა".

ეს საბუთიც იმის დამადასტურებელია, რომ ყვავილის აცრა საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი.

ყველაზე დიდი შენობა საქართველოში

ყველაზე დიდი შენობა მთელ საქართველოში შენდება ამჟამად თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ეს მთავრობის ახალი სახლია, რომელიც უნდა დამთავრდეს ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის დღესასწაულებისათვის.

აღნიშნული შენობის მოცულობა აღემატება 117.000 კუბიკურ მეტრს. შენობაში 400-ზე მეტი ოთახია, გარდა სასამსახურო ოთახებისა. შენობაში მოთავსდებიან სახალხო კომისარიატები, ცაკი, სახკომსაბჭო და მთავრობის სხვა ცენტრალური ორგანოები. შენობის პირველ სართულში ეწყობა გარაჟი 80 ავტომანქანისათვის.

რუსთაველის პროსპექტის მხრიდან შენობა 9 სართულიანია. გარდა მარმარილოს ფართო კიბეებისა, შენობის სართულებს შორის იმუშავებს ორი განუწყვეტლად მოძრავი ლიფტი, ორი ჩვეულებრივი ლიფტი და რამდენიმე საბარგო ლიფტი. შენობის სახურავზე ეწყობა ფერადი ფიქალით მოკენჭილი მოედანი საზაფხულო ბუფეტით.

ამჟამად მშენებლობაზე ყოველდღიურად მუშაობს 600 კაცი. დაწყებულია შენობის შიგნითა სამუშაოები, კარ-ფანჯრის კეთება, იატაკის მოპარკეტება და ოთახების შეღებვა. ამასთან ერთად დაჩქარებით აფორმებენ შენობის ფასადს.

რუსთაველის პროსპექტის მხრიდან შენობის გვერდის ფლიგელებს შორის მოწყობილია ორი რკინაბეტონის ტერასა. პირველ ტერასაზე ეწყობა მარმარილოს აუზი (10 მეტრის დიამეტრით), სადაც აღმართავენ დიდ შადრევანს. მაღლა ტერასაზე მოაწყობენ ორ აუზს ლომთა ფიგურებით და მუდამ მოძრავი წყალით.

სახლის ეზოში გაშენდება დეკორატიულ მცენარეთა პარკი ხეივნებითა და ყვავილნარებით.

შემდგომში გათვალისწინებულია ახალი დიდი შენობის აგება ამ კორპუსის წინ, რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ.

◇

430 ათასი მანეთი

სტუდენტების კურორტებზე გასაგზავნად

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა სტუდენტთა სანატორიულ-კურორტული მომსახურების საკითხი და მიიღო დადგენილება, რომ წელს ამ საქმეზე დაიხარჯოს 430 ათასი მანეთი.

ცალკე უმაღლეს სასწავლებელთა შორის ეს თანხა შემდეგნაირად არის განაწილებული:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა დახარჯოს 138 ათასი მანეთი, ქუთაისის პედინსტიტუტმა—55 ათასი, სოხუმის პედინსტიტუტმა—13 ათასი, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტმა—34 ათასი, ბათუმისამ—15 ათასი, სტალინირისამ—6 ათასი, გორისამ—10 ათასი, სამხატვრო აკადემიამ—7 ათასი, სახელმწიფო კონსერვატორიამ — 12 ათასი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა—72 ათასი და ზოოვეტინსტიტუტმა—26 ათასი.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება „ტექნიკა და შრომის" მიერ გამოცემული შემდეგი სახელმძღვანელო წიგნები: პროფ. ლეტოშნევი — სასოფლო-სამეურნეო მანქანები, დოც. ტ. ვეფხვაძე — ფიზიკა (უმაღლესი სასწავლებლებისათვის). ჰაინრიხ ბილცი— არაორგანული ნივთიერებათა თვისებითი ანალიზი, დოც. ვ. გურგენიძე — რკინიგზის სადგურები და კვანძები, პ. ლანდია — სამეურნეო გამოანგარიშების კალკულაციის საფუძვლები. ინჟ. კ. ბრეგვაძე — რა უნდა იცოდეს მნგრეველმა სტახანოველმა, დოლგოვი და ლევიცკი — როგორ ვებრძოლოთ ქვანახშირის მტვერს, და ინჟ. ლ. კელენჯერიძე — ავტომობილის პროფილაქტიკა.

პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემით გამოვიდა და იყიდება „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში" (მასალათა კრებულის პირველი ტომი).



საქართველოს მთავრობის სახლის მშენებლობის ხედი.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ხელოვნება

„პირველი გემი"

18 ივნისს იხურება სეზონი მოზარდ მაყურებელთა თეატრში. სეზონის დამთავრებამდე თეატრი გვიჩვენებს კიდევ ერთ ახალ დადგმას— ს. მთვარაძის პიესას „პირველი გემი".

პიესა გათვალისწინებულია უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის. მისი თემაა მეგობრობა და ერთმანეთისადმი სიყვარული ბავშვთა შორის. მოქმედება სწარმოებს ლისის ტბაზე.

„პირველ გემს" სდგამს რეჟისორი ბ. გამრეკელი, მხატვარია მ. გოცირიძე, მუსიკა—ვ. შავერზაშვილისა.

მთავარ როლებს ასრულებენ თ. თვალიაშვილი, ნ. კუპრაშვილი, ქერეჟაშვილი, მ. ციციშვილი, ი. დოხაური, ს. გამრეკელი.

პრემიერა—12 ივნისს.

გ. ლომიძის კონცერტი

დღეს, 10 ივნისს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ გიორგი ლომიძის კონცერტი.

პროგრამაშია შუბერტი, გლინკა, დარგომიჟსკი, არაყიშვილი, მშველიძე.

◇

დღეს იწყება საზაფხულო ბაზრობა

დღეს თბილისში იწყება და 25 ივნისამდე გასტანს საკოლმეურნეო ვაჭრობის დიდი საზაფხულო ბაზრობა. ვაჭრობა გაიმართება დახურულ ბაზარზე (სტალინის რაიონი), ავჭალის, დესიმონოვის, მოედნის, საბურთალოს, ვერის, ავლაბრისა და ნავთლუღის ბაზრებზე.

რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეების და ინდივიდუალური მეურნეების განაწილებას ბაზრებს შორის უხელმძღვანელებენ თბილისის შინავაჭრობის სამმართველოს მიერ გამოყოფილი მუშაკები. ბაზრობაში მონაწილეთათვის რჩევა-დარიგების მისაცემად თბილისის რკინიგზის სადგურზე და ქალაქში მომავალ გზატკეცილებზე ეწყობა საბაზრო კომიტეტის პუნქტები.

გამოყოფილია საწყობები, თავლები და სასტუმროები ბაზრობაზე ჩამოსულთა საჭიროებისათვის.

◇

ფეხბურთი

თბილისი — ბაქო

გუშინ, 9 ივნისს, „საკავშირო თასის" გათამაშების მორიგ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და ბაქოს „ლოკომოტივის" გუნდები.

ის დადებითი შთაბეჭდილება, რომელიც თბილისის ლოკომოტიველებმა წინა შეჯიბრებებში მოახდინეს, მათ არც გუშინ გაუქარწყლებიათ. თამაში თბილისელთა ძლიერი შეტევით დაიწყო და უკვე მეხუთე წუთზე სიხარულიძემ ლამაზი ბურთი მოაქცია ბაქოს კარის ბადეში. რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმრების მეკარემ ვერ დაიჭირა ჩერედნიჩენკოს მიერ შორიდან დარტყმული ბურთი და ანგარიში გახდა 2:0 თბილისის „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ბაქოელები შეეცადნენ ინიციატივის თავის ხელში აღებას და ერთხანს შესძლეს კიდეც ეს. მე-25 წუთზე მსაჯმა ბაქოელებს მისცა თერთმეტმეტრიანი თავისუფალი დარტყმის საშუალება, რაც მათ კარგად გამოიყენეს და ერთი ბურთი გააქვითეს.

თბილისელებმა მეორე ტაიმში თუმცა შეანელეს ტემპი, მაგრამ თამაშის უკანასკნელ წუთებში უპირატესობა მაინც მათ მხარეზე იყო. მე-35 წუთზე ბაქოს კარში ლოლაძის მიერ დარტყმული მესამე ბურთი შეგორდა. მიღწეული შედეგი აღარ დარღვეულა და შეჯიბრება დამთავრდა თბილისის „ლოკომოტივის" გამარჯვებით 3:1.

ეს ბაქოს მესამე გუნდია, რაც თბილისის „ლოკომოტივმა" დაამარცხა „საკავშირო თასის" გათამაშებაში. „ლოკომოტივის" შემდეგი შეხვედრა მოხდება თბილისის „დინამოსთან" 12 ივნისს.

◇

შემთხვევები

# ქურდობა. 6 ივნისს ღამით გაქურდეს მონადირეთა კავშირის მაღაზია პუშკინის ქუჩაზე, საიდანაც წაიღეს 6 სანადირო თოფი, ფეხსაცმელები და სხვა საქონელი. გარდა ამისა სალაროდან ფულად წაიღეს 760 მანეთი. მიღებული ზომებით ქურდები ა. ს. ხაჩატუროვი და ს. ი. სულეიმანოვი იმ ღამესვე დააპატიმრეს. მესამე ქურდი ე. ა. პეტროსიანი ჯერ შეპყრობილი არ არის. მაღაზიიდან გატაცებული ნივთები აღმოაჩინეს სულეიმანოვის ბინაზე და მაღაზიას დაუბრუნეს. როგორც ამ ქურდობის თანამონაწილე დაპატიმრებულია მეეზოვე რ. შ. აიდოვი.

საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი—კილაძე ვარჯიშობს ბირთვის ტყორცნაში.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

„უჩინარი ადამიანი"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 6 მაისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი კომბინატორ გიორგი ჯაფარიძის ბანდის შესახებ.

ეს საქმე ამ დღეებში გაარჩია თბილისის რაიონის სასამართლომ გრ. პაქსაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ა. კვერნაძის მონაწილეობით. სასამართლომ გიორგი ჯაფარიძეს მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით სამოქალაქო უფლებათა აყრა.

სერგო ფურცხვანიძეს და იროდიონ ხიდაშელს მიესაჯა ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამ-სამი წლით ხმის უფლების ჩამორთმევა.

ტირენტი ჩიხლაძეს — სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ამდენივე ხნით ხმის უფლების ჩამორთმევა.

შალვა რუხაძეს, იოსებ შალაშვილს და სოკრატ ტეფნაძეს მიესაჯათ სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ ორ-ორი წლით ხმის უფლების ჩამორთმევა.

არსენ ლაგვილავა სასამართლომ გაამართლა.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

10 ივნისი

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე:

1) „პოლიტიკური პარტიები რუსეთში თებერვლის ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის წინ" — ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. აროშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე; 2) „ბოლშევიკების პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის მშვიდობიან სამუშაოზე გადასვლის პერიოდში" (1921—1925 წ. წ.)—რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ამხ. ჯინჭარაძე კომკავშირული აქტივისათვის ქართულად მოხსენებას გააკეთებს საერთაშორისო მდგომარეობაზე. შესვლა გასაშვები ბარათებით.

○

10 ივნისს, საღამოს 7 საათზე, სტალინის რაიკომის პარტიული განათლების სახლში შესდგება ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „პარტგანათლების ქსელში მიმდინარე პოლიტიკის საკითხის სწავლების მეთოდიკა" — ქართულ ენაზე. ჯგუფური კონსულტაცია ამავე თემაზე რუსულად შესდგება 10 ივნისს, საღამოს 8 საათზე. კონსულტანტი ამხ. რუხაძე.

○

10 ივნისს, საღამოს 7 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში პროპაგანდისტებისა, პარტკომების მდივნებისა და პარტორგებისათვის შესდგება მოხსენება თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურის როლის შესახებ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში"—ქართულ ენაზე.

○

10 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე თემა „მესამე ხუთწლიანი გეგმის საკითხების განხილვა".

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

10-VI	გმირთა თაობა
11-VI	ალქაზარ

დასაწყ. 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

10-VI	ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავად ჩატეხილი ხიდი
11-VI	ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს საკინემატოგრაფიო თეატრებში

ოქტომბერი 7, 9. 11	ახალი ხმოვ. ფილმი უკრაინულ ენაზე ნაზარ სტოდოლია
დამკვრელი 6-30, 8. 9-30 11	საზამ. შენ. ახ. ხმ. ფილმი აი—გულ საზაფხ. შენ. ხმ. ფ. ცირკი
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	(საზაფხ. და საზამთრო) დადგმის მე-3 კვირა ცამეტნი
რ. ლუქსემბ. სახ 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე 2 თვე ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე ნარინჯის ველი
26 კომ. სახ საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	საზამთ შენ. ბეთჰოვენის კონცერტი საზაფხ. შენ. პეტერი
ახალი ამბები.	„ჩრდილოეთის პოლუსი დაპყრობილია ჩვენ მიერ" ესპანეთის ამბები გამოშვ. 17
კომინტერნი (საზაფხულო) 8-45. 10-30	ხმოვანი მხატვრ. ფილმი მეკარე

მიღების პირობები
თბილისის ქართულ პედაგოგიურ სასწავლებელში
1937—1938 სასწავლო წელს.

1. პედსასწავლებელში მიიღებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის 7 კლასი, ასაკით 15-დან 25 წლამდე.
2. პედსასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:
I კურსზე—დედა-ენა (ზეპირი და წერითი), არითმეტიკა (ზეპირი და წერითი), ალგებრა (წერითი), გეომეტრია და გეოგრაფია (ზეპირი).
II—III კურსზე—შემსვლელნი გამოიცდებიან პედაგოგიური სასწავლებლის წინა კურსის ყველა საგანში.
3. პედსასწავლებელში შემსვლელთ შემოაქვთ განცხადება დირექტორის სახელზე, კამოს ქ., № 52. შემდეგი საბუთების დართვით: 1. დაბადების მოწმობა, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ორი ფოტოგრაფიული სურათი.
4. განცხადებები მიიღება 25 ივნისიდან 15 აგვისტომდე.
5. მისაღები გამოცდები—25 აგვისტოდან 29 აგვისტომდე.
6. მიღებულ მოსწავლეთ მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით.

218

დირექტორი ივლ. კვაჭაძე.

ა. წ. 25—26 ივნისს თბილისში
შესდგება მეორე ხუთწლედის
(მეოთხე წლის გამოშვება)
სესხის მოგებათა მეორე
ტირაჟი

საქ. შრ. შემნ. სალ. და სახ. კრედიტის სამმართველო.

60

თბილისის სარეწაო კოოპერატიული არტელის „მეხშუბის" წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად (იხილეთ ა. წ. 15 მარტის საერთო კრების ოქმი № 6), **არტელი „მეხშუბა" საწარმოო ნიშნის მიხედვით გაიყო ორნაწილად:**

ა) ბეწვეულის საამქროდ.
ბ) საქურქე საამქროდ.

ბეწვეულის საამქრო აქტივ-პასივით შეუერთდა თბილისის სარეწაო კოოპერატიულ არტელ „მკერავთა კომუნას" ხოლო საქურქე საამქრო აქტივ-პასივით შეუერთდა ქუთაისის სარეწაო კოოპერატიულ არტელ „ტყავქურქფეხსაცმელს" ა/წ. 1 ივნისიდან.

17136

არტელ „მეხშუბის" გამგეობა.

ტყიბულის რაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ქათამაძე ამით აცხადებს, რომ ა. წ. 14 ივნისს

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის სადგურ გელათში (ტყიბულის რაიონი) საქ. მარმარილოს ტრესტის შემდეგ ქონებას:

ტრაქტორი 1-ი ინტერ., ქვის სამტვრევს—1 ც., ბენზინის თუნუქის კასრებს—3 ც., ქონება გაიყიდება სახელმწიფო ფასებში, თანახმად ტყიბულის რაისახალხო სასამართლოს 1936 წ. 5 ნოემბრის აღმასრულებელი ფურცლისა № 7—8, გელათის სას.-სამ. არტელის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

1581

საქართვ. მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის
სამკერვალო ფაბრიკა № 6
თოდრიას ქუჩა (ყოფილი სომხის ბაზრის) № 22.

აცხადებს
შემკვეთლების საყურადღებოდ

რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები: კოსტიუმები და პალტოები, როგორც კაცის, ისე ქალის, რომლებიც დამზადებული იყო 1 ივნისისათვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა, გამოსყიდულ უნდა იქნას სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. აღნიშნული 3 დის შემდეგ შეკვეთები გადაეცემა „მკერავგასაღებას" და არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

შეკვეთების №№

20, 127, 175, 176, 224, 232, 245, 246, 250, 266, 280, 291, 337, 362, 384, 386, 406, 432, 436, 438,
449, 472, 484, 488, 491, 499, 500, 507. 519, 524, 529, 530, 538. 554, 556, 559, 562, 574, 580.
585, 586, 588, 589, 592, 593, 601, 608, 644, 646, 647, 652, 654, 676, 683, 689, 691, 692, 699,
708, 922, 2143, 2181, 2263, 2264, 2280, 2287, 2304, 2348, 2348, 2349, 2349, 2368, 2376, 2377, 2384, 2391,
2395, 2402, 2408, 2410, 2412, 2429, 2430, 2433, 2434, 2436, 2445, 2446, 2449, 2486, 2452, 2488,
2491, 2492, 2495, 2498, 2504, 2553, 2577, 2581, 3003, 3036, 3067, 3112, 3115, 3121, 3214, 3214, 3219,
3235, 3241, 3254, 3268, 3274, 3277, 3292, 3313, 3316, 3315, 4050, 4244, 4245, 4273, 4321, 4348,
4353, 4355, 4357, 4362, 4368, 4374, 4395, 442[illegible], 4442, 4470, 4456, 4482, 5042, 5104, 5195, 5215,
5225, 5225, 5227, 5249, 5230, 5249, 5251, 5277, 5282, 5285, 5286, 5287, 5286, 5287, 5294, 5301.
5308, 5313, 5314, 5315, 5317, 5319, 5321, 5324, 5325, 5327, 5328, 5332, 5333, 5877, 6167, 6168,
6169, 6171, 7104, 7228, 7238, 7239, 7246, 7247, 7250, 7251. 7262, 72[illegible]6, 7269, 7270, 7274, 7275,
7285, 7292, 7288, 7302, 7323, 7593, 795[illegible], 8058, 8096, 8186, 8228, 8241, 8246, 8283, 8284, 8287.
8301, 8302. 8303, 8304. 8312, 8322, 8327, 8335, 9202, 9215, 9226, 9232, 9233. 9238. 9241, 9258,
13324, 10049, 10055. 10091, 10095. 10177, 10233.

შეკვეთები ფაბრიკის განყოფილებაში—ავლაბარი
შაუმიანის ქუჩა № 1.

100, 174, 187, 201, 207, 212, 216, 219, 221, 225, 227, 232, 236, 239, 240, 241, 244, 251, 253
254, 255, 257, 258, 1042, 1226, 1208, 1332, 1392, 1393, 1399, 1403, 1405, 1430. 1437, 1444, 1452,
1461, 1492, 1494. 1495, 1496, 1499, 1511, 1517

შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები: ხალათები, შალვრები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 1 ივნისისათვის, უნდა გამოსყიდულ იქნას ზემოთ აღნიშნულ ვადაში.

1122

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ/მგ. მდივნის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3—8596